სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 11 აგვისტო 2000 №153 (1175) | ფასი 50 თეთრი

ქართული ფეხბურთი გოდების კედელთან

ებრაული კალენდრით 10 აგვისტო გლოვის დღეა. ამიტომ იყო, იერუსალიმის „ბეითარი“ თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ თამაშის გადადებას რომ სთხოვდა. ქართველები გაოჩნდნენ და ღვთის რისხვაც დაიტეხეს. გუშინ ეროვნული სტადიონის სტუმრებმა ვიცეჩემპიონთა სადებიუტო 0:3 ამოკაწრეს ქართული ფეხბურთის გოდების კედელზე. თბილისში ასე და, ბრატისლავაში „ლოკომოტივი“ „სლოვანთან“ 0:2 დამარცხდა. თასის მფლობელთა მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი იმედოვნებს, შინ უკეთესი სხვაობით მოვიგებთ და მომდევნო ეტაპზე გავალთო. ბრატისლავურ გაზეთ „შპორტის“ სათაურიც — „ქართული კონიაკი ჯერ არ შესმულა“ — სლოვაკთა პესიმიზმზე მიუთითებს, მაგრამ დღევანდელ ფეხბურთში 0:2 რა ძნელი გასაბათილებელია, კარგად მოგეხსენებათ. ასე რომ, დიდი შანსია, აქამდე არნახული შეგვემთხვეს, ყველა ქართული გუნდისთვის პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპზე დასრულდეს წლევანდელი ევროტურნირები.

გუშინ ეროვნულზე: „ვიტ ჯორჯია“ — „ბეითარი“ 0:3. კობი გინონის (№12) განმეორებითი დარტყმა ვიტელთა კარს სცდება

Belasí si ešte nemôžu pripiť „gruziňákom“...

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე და მესამე გვერდებზე

ფასი ფიქსირებული

REUTERS ბრიუგედან

ბრიუგე — ფლორა 4:1. ანდრეს მენდოზამ (მარცხნივ) და ხალილუ ფადიგამ ესტონელთა განადგურებით გაიხარეს

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩები. 10 აგვისტო

UEFA CUP

ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 1:0 ნოვა გორიცა (სლოვენია)
1:0 ბუყაინოვი (1)
არარატი (სომხეთი) 2:3 კოშიცე (სლოვაკეთი)
0:1 ბარსეგიანი (15 საკ.), 1:1 მიგოიანი (53 პ), 1:2 ლუბარსკი (54), 1:3 ორავეცი (84), 2:3 მესროპიანი (90)
შერიფი (მოლდოვა) 0:0 ოლიმპია (სლოვენია)
კონსტრუქტორული (მოლდოვა) 2:3 ცსკა (ბულგარეთი)
0:1, 0:2 ბერბანოვი (10, 25), 1:2 დერუჩე (30), 2:2 ზაბოლოტნი (83), 2:3 მირჩევი (89)
ჰიკ (ფინეთი) 4:1 გრევენმახერი (ლუქსემბურგი)
1:0 რაფაელი (3), 2:0 როია (17), 2:1 ბუსი (56), 3:1 იერემენკო (78), 4:1 პაარალა (83)
სლავია (ბელარუსი) 1:1 მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
0:1 კატანი (47), 1:1 შუტოვი (50)
უნივერსიტატეა (რუმინეთი) 1:1 პობედა (მაკედონია)
1:0 პაპურა (31), 1:1 ზდრაესკი (88)
ეკრანასი (ლიტვა) 0:3 ლიერსი (ბელგია)
0:1 კლაესი (5), 0:2 ვან მეირი (10 პ), 0:3 კაფენსი (79)
ნაპრედაკი (იუგოსლავია) 5:1 ტულევიკი (ესტონეთი)
1:0, 2:0 ბელიჩი (4, 21), 3:0, 4:0 კოიჩიჩი (23, 45), 4:1 უსტრიცკი (47), 5:1 კოიჩიჩი (82 პ)
ტომორი (ალბანეთი) 2:3 აპოელი (კვიპროსი)
0:1 ობიკუ (23), 0:2 შკორიჩი (25), 0:3 იასუმისი (37 პ), 1:3 ლაკო (62), 2:3 ფანი (90)
გაძეფება: აბოული — პეტრუ (32)
ჭალგირისი (ლიტვა) 2:1 რუხი (პოლონეთი)
0:1 პავლაკი (13), 1:1 საულენასი (32), 2:1 ვილინისკისი (55)
ვენტსპილსი (ლატვია) 2:1 ვაშაში (უნგრეთი)
1:0, 2:0 ლანდერეი (7, 43), 2:1 შილი (88)
მეტალურგსი (ლატვია) 1:1 ბრანი (ნორვეგია)
0:1 კარიდასი (5), 1:1 სოლონიცინი (80 პ)
დრნოვიცე (ჩეხეთი) 3:0 ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)
1:0 ზაკადილი (47), 2:0, 3:0 ჩუპაკი (65, 72)
რაპიდი (ავსტრია) 2:0 ტეუტა (ალბანეთი)
1:0 რ. ვაგნერი (51), 2:0 შოტელი (77)
სლიმა (მალტა) 2:1 პარტიზანი (იუგოსლავია)
1:0 სილა (10), 1:1 ილიჩი (34), 2:1 ბუზუტილი (73)
ვორსკლა (უკრაინა) 2:0 რაბოტნიჩკი (მაკედონია)
1:0 კოშზარი (34), 2:0 მელაშჩენკო (65)
აიკ (შვედეთი) 1:0 გომელი (ბელარუსი)
1:0 ტიერსტრიომი (27)
ომონია (კვიპროსი) 0:0 ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)
რაპიდი (რუმინეთი) 3:0 მიკა აშტარაკი (სომხეთი)
1:0 იფანსი (37), 2:0 მალდარასანუ (40), 3:0 კონსტანტინი (88)
ლოზანა (შვეიცარია) 1:0 კორკ სიტი (ირლანდია)
1:0 ჰორიგეი (89)
აკადემისკი (დანია) 8:0 ტორსჰაგენი (ფარერები)
1:0 მიკაელსენი (32), 2:0 იოჰანსენი (45), 3:0 დაუგაარდი (47), 4:0, 5:0 სულე (57, 58), 6:0 რასმუსენი (67), 7:0 ბიური (68), 8:0 მიკაელსენი (69)
ამიცა (კოლონეთი) 3:0 ვადუცი (ლიხტენშტაინი)
1:0 კრიეტალოვიჩი (33), 2:0 დავიდოვსკი (79), 3:0 კროლი (87)
ბრიუგე (ბელგია) 4:1 ფლორა (ესტონეთი)
0:1 სავიუკი (21 პ), 1:1, 2:1 ფადიგა (4:1 პ, 54 პ), 3:1 მენდოსა (79), 4:1 ვერპეენი (83)
გოტუ (ფარერები) 0:2 ნორჩიოპინგი (შვედეთი)
0:1 ბიურსტრიომი (55), 0:2 ბერგსტრიომი (86)
მტკ (უნგრეთი) 1:0 იოკერიტი (ფინეთი)
1:0 ილეში (7)
ფოლგორი (სან მარინო) 1:5 ბაზელი (შვეიცარია)
0:1, 0:2 ჩუგა (10, 20), 0:3 მუფი (38), 0:4 აზიავონუ (60), 0:5 მაგრო (80), 1:5 ზანოტი (81)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 0:0 ვისლა (პოლონეთი)
ბანგორი (უელსი) 0:7 ჰალმსტადი (შვედეთი)
0:1 რ. ანდერსონი (28), 0:2 სვენსონი (30), 0:3 არვიდსონი (43), 0:4, 0:5 სელაკოვიჩი (50, 81), 0:6 კარლსონი (86), 0:7 ბერტილსონი (89)
კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) 1:2 იორგრიტე (შვედეთი)
0:1 ბემბერგი (8), 1:1 მაკფლაულინი (59), 1:2 იოჰანსონი (80)
კონსტელასიო (ანდორა) 0:10 რაიო ვალეკანო (ესპანეთი)
0:1 მიჩელი (12), 0:2 ლუის სემბრანოსი (27), 0:3 ბოლიჩი (31), 0:4 ბოლო (35), 0:5 ბოლიჩი (39), 0:6 ბოლო (42), 0:7 ბოლიჩი (60), 0:8 მიჩელი (66), 0:9 ბოლიჩი (67), 0:10 პაბლო სანსი (72)
გლენტორანი (ჩ. ირლანდია) 0:3 ლილესტრიომი (ნორვეგია)
0:1 ჰოფელი (20), 0:2 ბრენსტეინი (37 პ), 0:3 სანდგოტი (53)
ჟენესი (ლუქსემბურგი) 0:4 სელტიკი (შოტლანდია)
0:1, 0:2 მორაგჩიკი (37, 58), 0:3 ლარსონი (61), 0:4 ჰეუბ (81)
რიეკა (ხორვატია) 3:2 ვალეტა (მალტა)
აბერდინი (შოტლანდია) 1:2 ბოჰემიანსი (ირლანდია)
1:0 ვინტერსი (62), 1:1 მაჰერი (82), 1:2 მოლოი (90+3)
ვესტმანაეიარი (ისლანდია) 0:2 ჰართსი (შოტლანდია)
0:1 სეფერინი (49), 0:2 ჯექსონი (67)
ბოავიშტა (პორტუგალია) 2:0 ბერი (უელსი)
1:0 სილვა (21), 2:0 როდრიგო (40)

ფრთხილად: ნუ დალევთ კონიაკს 40° სიცხეში!

Belasí si ešte nemôžu pripiť „gruziňákom“...

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი.
10 აგვისტო. 20 საათი. ბრატისლავა. „ტეპელნე პოლე“. 4 321 მაყურებელი

სლოვანი 2:0 ლოკომოტივი

1:0 იანჩულო (38), 2:0 ჰრნჩანი (70პ)

ჰენრი სურინა ბრატისლავიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

— დამშვიდების უფლება არ გვაქვს, ვფიქრობ, დამეთანხმებით ჩვენ საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავს, — განაცხადა მოგებული მატჩის შემდეგ „სლოვანის“ მწვრთნელმა სტანისლავ იარაბეკმა. მას მართლაც უნდა დავეთანხმოთ. სავსებით შესაძლებელი იყო, თამაში სხვა, „ლოკომოტივისთვის“ უფრო სასურველი ანგარიშით დამთავრებულიყო.

სტუმრებს საწყის ხუთ წუთში გოლის გატანის ორი ჩინებული შანსი ჰქონდათ, მაგრამ „სლოვანი“ ორჯერვე მეკარე ბერნადიმ გადაარჩინა — ჯერ კვარაცხელიას, შემდეგ კი გოგიჩაიშვილს აჯობა და მათი დარტყმულები კუთხურზე მოიგერია. ამ მომენტების შემხედვარე სტანისლავ იარაბეკი სკამიდან წამოხტა და ფეხბურთელებს ისე უღრიალა, მე შემეშინდა. ეს იყო და „სლოვანი“ გამოფხიზლდა, ნელ-ნელა უპირატესობას დაეუფლა, თუმცა გოლამდე ლომაიას კართან ისეთი არაფერი შეუქმნია, აღსანიშნავი იყოს. მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ სტუმართა ოთხივე მცველი, მათ დამატებული ორი შუა ნახევარმცველიც საკუთარი კარის სიახლოვეს ბრატისლაველებს გასაქანს არ აძლევდა. „სლოვანის“ ყველა შეტევა საჯარიმოს ხაზთან იშლებოდა.

38-ე წუთზე კი „ლოკომოტივის“ მცველები პირველად შეცდნენ — ბალიშმა ბურთი კარიდან დაახლოებით 10 მეტრში მყოფ იანჩულას გადააწოდა, რომელიც თბილისელებს უმეთვალყურეოდ დარჩენოდათ და თავდამსხმელემაც ლომაიას უძლიერესად დაურტყა. მეკარე უძლური იყო.

„სლოვანმა“ გაიხარა, „ლოკომოტივმა“ კი მატჩის პირველი წუთების მსგავსად შეუტია, შენგელიასაც შეექმნა კარგი მომენტი ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა. ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილი დროც სტუმრების უპირატესობით მიმდინარეობდა.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივმა“ კონტრშეტევებზე ააწყო თამაში. ბურთს დაეუფლებოდნენ თუ არა, სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე. რამდენჯერმე ბერნადის კარის სიახლოვეს სტუმრები სჭარბობდნენ კიდეც მასპინძლებს, მაგრამ ზუსტი პასები არ გამოსდიოდათ. „ლოკომოტივიდან“ საუკეთესო ვეტერანი გოგიჩაიშვილი გახლდათ, მარჯვენა ფლანგზე „სლოვანის“ ფეხბურთელებს ბევრი პრობლემა შეუქმნა. სტუმრებს მე-60 წუთზეც შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, შეცვლაზე შესულ ხუროძეს ჰქონდა საგოლე მომენტი, მაგრამ ვერ ივარგა. ათ წუთში კი „სლოვანმა“ მეორეც გაიტანა. მესაროშის დარტყმულ ბურთს ბურნაძემ საჯარიმოში ხელი შეაგება და ბულგარელმა არბიტრმაც პენალტი უყოყმანოდ დანიშნა. ჰრნჩარმა თავისიანები უფრო დააწინაურა. ამის მერე თბილისელებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე მომენტი, მაგრამ ბრატისლაველი მცველები ყოჩაღობდნენ.

ვნახოთ, დაველოდოთ საპასუხო მატჩს. თბილისში გამოჩნდება, ორბურთიანი ფორა სლოვანელებისთვის საკმარისი თუ იქნება. მათთვის ჯერ ადრეა ქართული კონიაკის დალევა.

სლოვანი

1. ბერნადი
4. ტიმკო
7. პეტკო — 5. ბალიშა
19. ჰრნჩარი
16. გიოგი — 14. იეტიკი
8. პანჩიკი — 13. სედლაკი
9. იანჩულა — 15. მესაროში

10. ა. ჯელაძე — 14. შენგელია
11. დავითაშვილი — 6. გოგიჩაიშვილი
7. კვარაცხელია — 2. ბალაშვილი
4. აბრამიძე
5. თოდუა — 15. ლ. მიქაძე
3. ბურნაძე
1. ლომაია

ლოკომოტივი

შეცვლა: ჯელაძე — 9. ხუროძე (52), ბალიშა — 3. კრისი (59), დავითაშვილი — 18. ძოძუაშვილი (61), პანჩიკი — 11. შლაპორი (65), ბურნაძე — 19. გონჩაროვი (72), იანჩულა — 2. კოზმერი (84)

გაფრთხილება: **ტიმკო (5), ბურნაძე (40), დავითაშვილი (60), იეტიკი (70), მიქაძე (73), შენგელია (83), კრისი (90)**

მსაჯები: **კ. ალექსიევი; ი. გულევი, კ. პიშკოვი (ყველა ბულგარეთი)**

* Stráňov prvého gólu Slovana do siete bývalého Lokomotívi útočník Tibor Jankára (v strede) v gruzínskom štýle za ho snažia pripiť Lavitašvili (č. 11) a Zelník-Ri. Potiaž pridať po prestávke do siete Gruzínovi sa to ...

სლოვაკური „სპორტის“ დღევანდელ პირველ გვერდზე ტიბორ იუნჩულას (ბურთით), სულიკო დავითაშვილის (№11) და სევასტი თოდუას ეს ფოტოა

მატჩის შემდეგ

რევაზ ძოძუაშვილი, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:

— კარგი თამაში გამოვიდა. მეტოქე ჩინებული გვყავდა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

სამწუხაროდ, ჩვენ რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მატჩის დასაწყისშივე ერთი გოლი მაინც რომ გაგვეტანა, ვინ იცის, საბოლოოდ რა ანგარიში იქნებოდა. იმედი მაქვს, თბილისში ჩვენ უფრო დიდი სხვაობით გავიმარჯვებთ და შემდეგ ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივი“ გავა.

სტანისლავ იარაბეკი, „სლოვანის“ მწვრთნელი:

— არ ვიცი, საპასუხო მატჩში რა მოხდება, 3:0 რომ მოგვეგო, მშვიდად ვიქნებოდი. ბევრი მომენტი არ გვქონდა, მაგრამ ორი გოლის გატანა მაინც მოვახერხეთ. თბილისში თამაში იმიტომაც გაგვიჭირდება, რომ იქ დაახლოებით 40 გრადუსი სიცხე დაგვხვდება. ჩვენი ფეხბურთელებისთვის უკნოა ასეთი ტემპერატურისას თამაში. მეტოქეებზე ვერაფერს გეტყვით, „სლოვანიდან“ კი პირველ ყოვლისა ტიმკოს, პეტკოსა და ჰრნჩარს გამოვყოფდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილონის ფოტო

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი.
10 აგვისტო. 20 საათი. თბილისი. „ეროვნული“. 10 000 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 0:3 ბეითარი

0:1 მიზრახი (32), 0:2 განონი (61), 0:3 როსო (90)

გოდეზის კედელი ეროვნულზე

ბეითარელი ჟან ტელასნიკოვი ვიტელ გიორგი ყიფიანს ბურთს არ ანებებს

ვიტ ჯორჯია

1. მერლანი
21. ჭანკოტაძე
2. კობიაშვილი — 5. მუჯირი
18. დიდმელაშვილი
3. დეკანოსიძე
20. ყიფიანი
9. ნოზაძე — 13. ხაჭაპურიძე
11. მელქაძე — 8. ქორიძე

ბეითარი

11. მიზრახი — 10. სივილია
9. ჰალფონი
12. განონი — 7. როსო
4. ტელასნიკოვი — 19. შანდორი
3. ამსალემი — 17. სავიჩი
20. სტოიანოსკი
1. კორნფეინი

შეცვლა: **დეკანოსიძე — 4. საჯაია (33), შანდორი — 8. აბუქასისი (42), სივილია — 14. ჰამარი (63), განონი — 13. დერი (82), ხაჭაპურიძე — 14. დოლიძე (85)**

გაფრთხილება: **ჭანკოტაძე (23), სივილია (45), კორნფეინი (48), ყიფიანი (56)**

მსაჯები: **მ. თოქათი; ჩ. აკიმი, ე. ჩოსაქოღლუ; ჩ. სარიგული (ყველა თურქეთი)**

უეფას დელეგატი: **პ. ჰანსი (ჰოლანდია)**

კარში დარტყმა: 8 — 9; კარისკენ დარტყმა: 17 — 4; ჯარიმა: 11 — 23; კუთხური: 13 — 3; თამაშგარე: 4 — 4.

პაატა კვანტალიანი

თუნდ გულისტკივილი დაარქვით, ან იმედგაცრუება, გნებავთ — სარკეში ჩახედვა, რა ვიცი, კიდევ რა... ფაქტი ერთია, საშუალოზე საშუალო ევროპულმა გუნდმა მიწასთან გაგვისწორა ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი.

უცნაურია, არა? თამაშობს ქართული კლუბი უცხოურთან და წინასწარ იცი, რომ განწირულია, მაგრამ გულის სიღრმეში რაღაცის გჯერა, ის რაღაც იმედით აღგავსებს, სასიამოვნოდ გაგაბრუებს, აგიტაცებს და... მსაჯის საფინალო სასტვენთან ერთად ყველაფერი ქრება, სინანულით გაიქნევ თავს და იტყვი — ეს ხომ ისედაც ვიცოდი.

არადა, ყველაფერი ხომ დღესავით ნათელია. რას ველოდით „ვიტ ჯორჯიასგან“? ის ხომ ელემენტარულად ბედკრული ქართული ფეხბურთის ერთერთი შემადგენელი ნაწილია.

სერგო კოტრიკაძის გუნდმა დებიუტშივე წააგო ბრძოლა. ელი გუტმანის ტაქტიკური მონახაზი ერთი შეხედვით მარტივი ჩანდა — „ბეითარმა“ უდიდესი სივრცე დაუთმო მეტოქეს, პრაქტიკულად საჯარიმომდე ვეტერინარები უპრობლემოდ აღწევდნენ და ერთი შეხედვით იქმნებოდა საიმისო შთაბეჭდილება, სადაცაა ანგარიშს გახსნიან მასპინძლებიო. მაგრამ სტუმართა დაცვა ფაქტობრივად უშეცდომოდ მოქმედებდა, სტოიანოსკი, შანდორი და ამსალემი საოცარი სიზუსტით აზღვევდნენ ერთმანეთს და მეტოქის შეტევის ჩაშლის შემდეგ უმალ კონტრიერიშზე გადადიოდნენ. მწვრთნელის კომპეტენციაში ჩარევას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ ჩემი აზრით მე-15 წუთიდან ვიტელთა ტაქტიკური მონახაზი საფუძვლიან შეცვლას საჭიროებდა. თვალნათლივ ჩანდა, რომ სამი მცველით და გაშლილი შუახაზით ვეტერინარები ფონს ვერ გავიდოდნენ. განა რაიმე განსაკუთრებულს აკეთებდნენ ებრაელები? რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, მეტოქე გუნდის ფეხბურთელთა თითოეული პასი ზუსტად მიდიოდა ადრესატამდე, რაც სტუმრებს სწრაფი გადადგილების საშუალებას აძლევდა. მასპინძელი ნახევარმცველები სამკაცა დაცვის დაზღვევას ვერ ასწრებდნენ და დაახლოებით ტაიმის შუაწელში „ეროვნულზე“ შეყრილმა ათიათასამდე ქომაგმა დაინახა, რომ არც ისე „გადასავლელი“ გუნდი იყო „ბეითარი“, როგორც დასაწყისში ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითოეულ არაზუსტ პასზე საოცრად ნერვიულობდნენ ვეტერინარები, რაც მათ მეტოქეს საქმეს უადვილებდა. არაზუსტი გადაცემები კი იცოცხლეთ, მრავლად იყო თბილისელთა თამაშში. აკი ტაიმის შუაწელში დეკანოსიძის მიერ ზედიზედ მეოთხედ გაკეთებული ამგვარი გადაცემა მის გუნდს ჯარიმად, ხოლო ჭანკოტაძეს ყვითელ ბარათად დაუჯდა. როსოს პასის მერე ჭანკოტაძეს აღარაფერი დარჩენოდა საჯარიმოსკენ დაძრული განონის წაქცევის გარდა. ამ ეპიზოდიდან მალე საგოლე მომენტი შეიქმნა ვიტელთა კართან, როსომ ისევ გაიბრწყინა და მოხდენილი პასით კვლავაც განონი (ეს ორი ფეხბურთელი საუცხოოდ უგებს ერთმანეთს) გაიყვანა კარგ პოზიციაში, ამან ჭანკოტაძე მოიტოვა და მეკარესთან პირისპირ შეყრილმა ძლიერად დაარტყა კარის მიმართულებით. მერლანმა ივარგა, დამატებისას კი კობიაშვილმა გამოიტანა ბურთი კარის ხაზიდან.

სამ წუთში პირველი გოლიც გავიდა. სტუმართა სწრაფი სამსვლიანი კომბინაცია საჯარიმოში ჩაწოდებით და მიზრახის ლამაზი თავურით დამთავრდა. მერლანს ბრალი არ მიუძღოდა ამ ეპიზოდში. ჩემს ახლოს მოკალათებულმა სტუმარ გულშემატკივართა ათკაციანმა ჯგუფმა იღრიალა — „იერუშალაიმ“ და საბრძოლო მარში დააგუგუნა. ჩვენდა სამწუხაროდ, მათ მატჩის განმალობაში კიდევ ორჯერ მოუხდათ ამის გაკეთება... „ვიტ ჯორჯია“ ტაიმის ბოლო წუთზე გოლს იმსახურებდა. ქორიძის საჯარიმოში ბურთიანად უთავბოლოდ ტრიალს (პირადად ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ქორიძეს წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული, ბურთი პარტნიორებისთვის არ მიეწოდებინა) ამსალემმა მოუღო ბოლო, მაგრამ საჯარიმოდან გამოვარდნილ ბურთს სწორი პოზიცია შეურჩია გიორგი ყიფიანმა და ძლიერად მეტოქის კარისკენ გაისროლა. „ბეითარს“ ბედად, ძელი დაეხმარა.

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსად დაიწყო. მასპინძლები ქაოსურად მიაწყდნენ სტუმართა კარს, მაგრამ გაუთავებელ ფლანგურ ჩაწოდებებს თუ საჯარიმოში შეღწევის მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. ებრაელები მშვიდად აკონტროლებდნენ სიტუაციას და ძველი გზით (მარტივი, სწრაფი კონტრშეტევებით) ცდილობდნენ მეტოქის საბოლოოდ წახდენას. აკი შეძლეს კიდეც. 61-ე წუთზე შეტევაში ჩართულმა ამსალემმა (ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუშინდელ მატჩში) მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებით თავზე დაასვა ბურთი საჯარიმოში უმეურვეოდ მიტოვებულ განონს და „ვიტ ჯორჯიას“ ერთხელაც მოუხდა თამაშის ცენტრიდან განახლება.

85-ე წუთზე ჯერ კიდევ პირველ ნახევარში შესაცვლელ ხაჭაპურიძეს დოლიძე შეუნაცვლა კოტრიკაძემ. ბუნებრივია, ამან სასურველი შედეგი არ გამოიღო, მეტიც წუთის შემდეგ როსოს საჯარიმოში ჩაწოდებას ლამის მორიგი გოლი მოჰყვა ვიტელთა კარში, მაგრამ შეცვლაზე შესულ ჰამარს მერლანმა შეუშალა ხელი. ჰამარმა ბოლოს მაინც გაიბრწყინა, მარტომ იარა ბურთიანად 25 მეტრი მარცხენა ფრთაზე და საჯარიმოში შეჭრილმა ოდნავ უკან როსოს დაუგორა, ხორვატმაც საჯარიმოში შექუჩული ვეტერინარები ადგილზე გააშეშა, მოხდენილი დარტყმით მერლანისგან შორეულ მარცხენა კუთხეში გაახვია ბურთი...

„ბეთარმა“ გაიმარჯვა და რაც ყველაზე გამაღიზიანებელი იყო, ეს ძალების სრული დაზოგვით გააკეთეს. სტუმრის ფასი ვიცით ქართველებმა. გახარებული და ბედნიერები ტოვებდნენ ებრაელები „იერუშალაიმის“ ძახილით ქართულ სარბიელს. ისე, გახსენებაც კი მიჭირს, იქნებ თქვენ დამეხმაროთ, როდის გავუშვით ბოლოს უკმაყოფილო სტადიონიდან მეტოქე გუნდი და მისი ქომაგები?

ვერ იხსენებთ? ესეც ბედკრული ქართული ფეხბურთის გამოა.

მატჩის შემდეგ

დამთავრდა თამაში. საპრესკონფერენციო დარბაზიც გაიღო, სადაც გაბრწყინებული სახეებით და შესანიშნავ გუნებაზე მხოლოდ სტუმარი ჟურნალისტები შევიდნენ. კი მაგრამ, „ბეითარმა“ ხომ სამი უპასუხო გოლით მოიგო და მათ მთავარ სტრატეგს რაღა ჰქონდა საწუხარი?

შეფიქრიანებული გუტმანი და დაღონებული სერგო კოტრიკაძე. აი, ეს იყო საკვირველი სანახავი. არა, ჩვენებური მწვრთნელი რომ დამარცხებას განიცდიდა, ეს ბუნებრივია, მაგრამ ელი გუტმანი...

— შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჩემი ფეხბურთელები ჩვეულად ვერ გამოიყურებოდნენ. სათამაშო დისციპლინამ ვერ დამაკმაყოფილა, ვერც შეთამაშებუცლები არიან. არადა, კვირას ისრაელის ჩემპიონატის პირველ მატჩში ფეთაჰ თიქვას „ჰაპოელს“ ვეთამაშებით. ვფიქრობ, საფუძვლიან მომზადებას ვერ მოვასწრებთ და არსებულ ნაკლსაც მოკლე დროში ვერ აღმოვფხვრით. სწორედ ეს მადარდებს. ელი გუტმანი ბილისშივე ფიქრობდა მომავალზე და „ბეითარმაც“ სწორედ ამიტომ მოუგო „ვიტ ჯორჯიას“.

— თქვენთან ყველაფერი მომეწონა. მადლობას გიხდით გულთბილი მასპინძლობისთვის. ერთადერთი, რამაც შეგვაწუხა, თბილისური სიცხე იყო დასძინა სტუმარმა.

როგორც აქამდე, სტუმართა თავკაცმა ყველაფერზე „გუჯ“ იძახა, ეცადა დავემშვიდებინეთ, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობდა, რომ ვხვდებოდით, მოვალეობას იხდიდა ზედმეტი ზრდილობის გამო დაითაფლა.

— ახალგაზრდული, ტექნიკური და პერსპექტიული გუნდი გყავთ. იბრძოლეს, რაც შეეძლოთ, მაგრამ გამოცდილებამ უღალატათ ესეც გუტმანის ნათქვამია.

სტუმარს მეტოქეზე სიტყვა არ დასცდენია. ჩვევად არ მაქვს, მოწინააღმდეგის ნაკლზე ვილაპარაკოო. აქამდე არც ერთ უცხოელ მწვრთნელს ეს არ უკადრებია, არც გუტმანი იყო გამონაკლისი.

არადა, მან კარგად, მისხალ-მისხალ იცოდა „ვიტ ჯორჯიას“ ყველა სისუსტე, მაგრამ საჯაროდ პირში არ მიუხლია.

„ბეითარის“ მთავარმა სტრატეგმა გიორგი ყიფიანი გვიქო, ერთი სიტყვით, ქორიძე და მელქაძეც მოიხსენია, მერე ცოტა მშობლიურ ენაზეც ესაუბრა ებრაელ ჟურნალისტს და...

სერგო კოტრიკაძემ წაგების მიზეზად გამოუცდელობა დაასახელა. კიდევ მეკარე მირზა მერლანს და დაცვას უსაყვედურა. თავდამსხმელებს ურიგოდ არ უთამაშიათო, გვითხრა და მეტიც სათქმელი არა იყო.

გამომშვიდობებამდე „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცმა, საპასუხო მატჩისთვის გარკვეულ ცვლილებებს მივმართავთო, დაგვიბარა.

მერე ყველა თავის გზას ეწია. გუტმანმა მომლოდინე ავტობუსს მიაშურა, კოტრიკაძეს ვეტერინარები ელოდნენ. სტადიონიც მალე დაიცალა. ტაბლოზე კი ეწერა — „ვიტ ჯორჯია“ — „ბეითარი“ 0:3.

მამუკა კვანტალიანი

ორშაბათს ფეხბურთის ფედერაციაში

14 აგვისტოს ფეხბურთის ფედერაციას მეტად გადატვირთული სამუშაო გრაფიკი მოელის. ორშაბათს ფედერაციის უმაღლესი ინსტანცია — აღმასკომი შეიკრიბება და ორ საათზე დეპარტამენტის სააქტო დარბაზში სხდომას გამართავს. დასამტკიცებელია მეთორმეტე ეროვნული გათამაშების რეგლამენტი, ასევე უმაღლესი, პირველი და რეგიონალური ლიგების კალენდრები.

ალბათ, იმსჯელებენ თბილისის „დინამოს“ შესახებ. საქართველოს ათგზის ჩემპიონი და მეთერთმეტე ეროვნულის ბრინჯაოს პრიზიორი ჯერაც რეგისტრაციაგაუვლელია. „დინამო“ ფაქტობრივად არსებობს, გუნდი ახალი მწვრთნელის თავკაცობით ახალი სეზონისთვისაც ემზადება, მაგრამ იურიდიულად რომ არსად გატარებულა?..

საჭოჭმანო და საფიქრალია პირველი ლიგაც. თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, არ არის გამორიცხული, გათამაშებას ბორჯომის „თორი“ და „ცხინვალი“ გამოაკლდნენ. მიზეზი, რა თქმა უნდა, უსახსრობაა და ამ მხრივ პირველ ლიგას კი არა, ზოგიერთ უმაღლესლიგელსაც არ ულხინს.

ხვალიდან ფეხბურთის ფედერაციის სალარო, ალბათ, ნაადრევად გაიხსნება და 11 აგვისტოდან საწევრო შესატანით ხელდამშვენებულ კლუბებსაც დაელოდებიან. დღემდე ფედერაციის ბიუჯეტში თეორიც არავის შეუტანია.

14 აგვისტოს სპორტის დეპარტამენტის შენობას ქართველი ლეგიონერები და აქაურ ჩემპიონატში მოთამაშე ეროვნული ნაკრების წევრებიც გააბედნიერებენ. ნაკრები ორშაბათს შეიკრიბება, სამშაბათს კი ირანს გაემგზავრება და ოთხშაბათს იქაურთა ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება.

გამუცა კვანტალიანი

სამი გოლი სამოთხეში

შოთა ჭეიშვილი

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ლაგოდეხშია ორკვირიან შეკრებაზე. შოთა ჭეიშვილისა და მისი თანაშემწეების უპირველესი საზრუნავი ნაკრების კანდიდატთა შერჩევა-გამოცდა გახლავთ.

როგორც ამბობენ, თბილისურ სიცხესთან შედარებით ლაგოდეხის სპორტული ბაზა და მის გარშემო შემოჯარული ტყე ნამდვილად სამოთხეა. ეტყობა, ჩვენებურებსაც ყველა პირობა აქვთ შექმნილი და ნაყოფიერად ემზადებიან.

გუშინწინ საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა ჭაბუკიანში სომეხ თანატოლებს უმასპინძლა. მატჩი ჩვენებურთა გამარჯვებით 3:0 დასრულდა.

ქართველები მეზობლებს კიდევ ერთხელ, დღეს გაეჯიბრებიან.

დათო დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაისადეთ და ივაჭრეთ

უცხოეთში წასვლა ხუთჯერ გაძვირდა

ჩვენში სატრანსფერო პოლიტიკა უნაკლო და დალაგებულიაო, რომ ვთქვათ, არავინ დაიჯერებს. უთავბოლობის მაგალითი გნებავთ? ინებეთ, ბატონო. თითქმის შვიდი წელია, „მრეტები“ — „დინამოს“ დავაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, უეფა და ფიფაა ჩარეული, მაგრამ კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელია.

ფეხბურთელის ტრანსფერიდან ხშირად ყველა მხარე (შინაურიც და გარეულიც) კმაყოფილია, ზოგჯერ მხოლოდ ერთია გახარებული. ისეც ხდება, რომ აქაურები მშრალზე რჩებიან და უცხოები ხარობენ.

ასე იყო აქამდე და ასეა დღესაც. ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ეს ორომტრიალი, ალბათ მანამდე, სანამ ყველაფერი წესრიგს არ დაემორჩილება.

ადრე ფეხბურთელის ტრანსფერიდან მიღებული შემოსავლებით ფედერაციასაც უხეირია. მერე, ყველა რომ გათვითცნობიერდა ადგილობრივ და უცხოურ ტრანსფერებში, ფეხბურთის ფედერაციაც ხელცარიელი დარჩა. იქაური ჩინოვნიკები უმნიშვნელო პროცენტებსღა სჯერდებოდნენ.

ადგილობრივ ტრანსფერში ფედერაცია მხოლოდ 50 ლარს იღებდა, ხოლო უცხოურში — 200 ლარს.

10 აგვისტოდან ძალაში შევიდა ფედერაციის აღმასკომის მიერ დამტკიცებული დადგენილება. ადგილობრივი ტრანსფერი 100 ლარის ოდენობით შეფასდა, ხოლო უცხოურის ღირებულება 1000 ლარამდე გაიზარდა.

ბევრია ეს თუ ცოტა? საქართველოსთვის, ალბათ, ბევრია, თორემ რუსეთსა და უკრაინაში, იქაური ფედერაციები 1000 დოლარს იტოვებენ, ხოლო თურქები სულაც ტრანსფერის ღირებულების 15 პროცენტს თავიანთი ფედერაციის ბიუჯეტში გზავნიან.

გამოდის, საქართველოში ლმობიერი ფედერაცია გვყოლია, მაგრამ იმას რა ვუყოთ, ზოგიერთი ჩვენი კლუბი (უმეტესობა თუ არა) უსახსრობისგან სულს რომ ღაფავს?!

გამუცა კვანტალიანი

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (მილანი), მაღლაკელიძე (კოლხეთი), გოგიაშვილი, გრ. ჭანტურია (თავისუფალი აგენტი), მეგრელაძე, ვაჩიბერაძე (ტრანსფერზე არიან)	გუჩუა, სიჭინავა, გაბიდაური (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), სტურუა, გ. გოგოლაძე (სამგურალი)	დილა 4:0, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0, თსუ 1:0
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (თსუ), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), ჭილაძე (ს.ა. იბერია)	თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, პანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რვაე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1
	დინამო *რევაზ არველაძე*	ხი ზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (მაკაბი, თა, ისრაელი), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), მინაშვილი (მერანი), ხუციშვილი (?)	კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბაითიშვილი, ტყებუჩავა, ჩიკვაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, შუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3
	ბათუმი *ჯანი კარნევალი*	მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი (არაუ, შვიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მჟავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, შუქურა 2:1
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი)	მაღლაკელიძე (ტორპედო), რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გ. ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეჟავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, ბათუმი 1:2, გურია 3:0, 3:1
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 3:1, მილანი 0:2
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო ზილი, რუსეთი), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა)		სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი) 1:2, მეტალურგი (ელეხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მნვრთნელი)	ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიმვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მნვრთნელი)	ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4
	მერანი *სერგო გაბელაია*	ჯიშკარიანი (კარიერა დაასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	მინაშვილი (დინამო), ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი)	ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიხრაძე (ჰ.ბეთი შანი, ისრაელი), კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ბაქრაძე (სიონი), ჭიჭვეიშვილი (ჰ.ქვარსავა, ისრაელი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ჯუღელი (?, კიპროსი ან ისრაელი), ნიკურაძე (გორდა), რ. ონიანი (?)	გონჩაროვი (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიპადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ლონდაძე (სამგურალი)	გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2
	თსუ *თენგიზ კაციია*	მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ფარქოსაძე (?, გერმანია), ხართიშვილი (?)	მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ჭედია (ლაზიკა)	ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2, ტორპედო 0:1
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი)	ივეჩიანი (იბერია), კიბირია (საუ), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები), ნიკურაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

იხილეთ წინა „სარბიელი“

მოკვლევა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბატონ გია არსენიშვილს

ინფორმაცია თბილისის „დინამოსა“ და ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის №251 ბრძანებულების თანახმად, საფეხბურთო კლუბი „დინამო“ თბილისისთვის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ კლუბს ნება დაერთო 2000 წლის ბოლომდე სამეურნეო-კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად მოეხმარებინა კლუბის ინტერესებისთვის, რის გამოც იგი თავისუფლდებოდა ყველა სახის მოსაკრებლის გადასახადისგან, იმ პირობით, რომ მოსაკრებლებში გადასახდელი გამონთავისუფლებული თანხების აკუმულირება უნდა მომხდარიყო სპეციალურად ჩამოყალიბებულ საპარტნიორო ფონდში.

ამის საწინააღმდეგოდ შპს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ მაშინდელმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, დირექტორატის წევრებმა ვალერი შალიკაშვილმა, მერაბ რატიანმა და მთავარმა ბუღალტერმა მ. მამეიანმა ზემოხსენებული ბრძანებულების აშკარა უგულებელყოფით არ შეასრულეს მისი მოთხოვნები, კერძოდ:

ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ და მისი მოქმედების პერიოდში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან 215 შემთხვევაში შემოტანილია 17 687 201 აშშ დოლარის სხვადასხვა დასახელების სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და კვების მრეწველობის საქონელი, რის შემდეგაც 28 142 931 ლარის აკუმულაცია უნდა მომხდარიყო „საპარტნიორო ფონდში“, რაც არ მომხდარა.

დადგენილი იქნა, რომ ზემოხსენებული თანამდებობის პირები სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ არ უთმობდნენ სათანადო ყურადღებას და არ აკონტროლებდნენ საქონლის მიღებას, განთავისებას, რეალიზაციას და „საპარტნიორო ფონდის“ ანგარიშზე თანხების ჩარიცხვას.

ჩადენილი დანაშაულებისთვის მერაბ ჟორდანია, ვალერი შალიკაშვილი, მერაბ რატიანი და მ. მამეიანი მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და სამსახურეობრივი სიყალბის ფაქტებზე.

სისხლის სამართლის საქმე 1998 წლის 16 ივლისს გადაეგზავნა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოში არსებითად განსახილველად.

1999 წლის 25 იანვარს დიდუბის რაიონის მოსამართლე მ. კოტრიკაძემ განიხილა რა ხსენებული საქმე, ოთხივე ბრალდებული გაამართლა, რასაც შედეგად მოჰყვა პროკურორის საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში. 1999 წლის 25 აგვისტოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ იქნა პროკურორის საკასაციო საჩივარი და დიდუბის რაიონის სასამართლოს განაჩენი მიჩნეული იქნა უკანონოდ, რის გამოც იგი გაუქმდა, ხოლო საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას. ხელმეორედ საქმე ჯერ არ განხილულა.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის №251 ბრძანებულების მომზადებლებს დაშვებული აქვთ შეცდომა, კერძოდ: ბრძანებულებაში შეღავათების შესახებ ლაპარაკია არა შპს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოზე“, არამედ საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოზე“, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წლის ივნისში გაუქმდა.

საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობას მერაბ ჟორდანიას და მერაბ რატიანს სს კომერციულ ბანკ „თბს ბანკიდან“ სამ შემთხვევაში სულ მიღებული აქვთ 400 ათასი დოლარის რაოდენობის სესხი, რის სანაცვლოდ კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის რესპუბლიკურ ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ თანხმობის გარეშე დაგირავებული აქვთ ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ დიღმის საფეხბურთო-საწვრთნელი ბაზა და საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 12 სექტემბრის №346 ბრძანებით და მინისტრთა კაბინეტის №995 წლის 18 სექტემბრის №721 წერილის საფუძველზე, შპს საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამოსთვის“ გადაცემული შპს საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამოსთვის“ გადაცემული სს „მზიურის“ აქციების 35% (101 713 ცალი აქცია) „თბს ბანკიდან“ სესხი მიღებული იქნა სს „მზიურში“ წარმოების განვითარებისთვის.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის 159-ე მუხლის თანახმად „კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობაში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე“.

კრედიტის გაცემისას კანონის აღნიშნული მოთხოვნა სსკბ „თბს ბანკის“ მიერ უგულებელყოფილია. 1992 წლის 27 სექტემბერს შექმნილი შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო“ თბილისი მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენდა იურიდიულ პირს, ვინაიდან არ გააჩნდა საკუთარი ქონება.

კანონმა „მეწარმეთა შესახებ“ მოითხოვა ყველა ადრე შექმნილი სტრუქტურების, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ხელახალი რეგისტრაცია უკვე სასამართლოების მეშვეობით სამეწარმეო რეესტრში შეტანით, რათა მათთან ურთიერთობის დროს მესამე პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ მათ ქონებრივ მდგომარეობას.

„თბს ბანკმა“ უგულვებელყო კანონის ეს მოთხოვნაც, არ დაინტერესდა გავლილი ჰქონდათ თუ არა კლუბს ხელახალი რეგისტრაცია და ისე გასცა კრედიტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ სტრუქტურებს შორის ურთიერთობების დროს, როდესაც ასეთ ურთიერთობას ახორციელებს არა დირექტორი, არამედ სხვა პირი, თანახმად მეწარმეთა შესახებ კანონის მე-10 მუხლისა, ის უნდა აღიჭურვოს შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. მასზე უნდა გაიცეს მინდობილობა, რომლის რეგისტრაცია უნდა მოხდეს სამეწარმეო რეესტრში. ასევე მიწის ნაკვეთის გასხვისების ან ვალდებულებებით დატვირთვისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უნდა გააჩნდეს სპეციალური ნებართვა.

ამ შემთხვევაში „თბს ბანკისა“ და ასევე შპს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ მიერ სრულყოფილად არ არის შესრულებული კანონის აღნიშნული მოთხოვნაც.

შპს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელებს სახელმწიფო მიწის მართვის დეპარტამენტში წარდგენილი აქვთ 1996 წლის 16 ივნისს გამოწერილი ტექნიკური პასპორტი, რომელიც გაცემული იყო უკვე გაუქმებული საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ სახელზე. სახელმწიფო მიწის მართვის დეპარტამენტმა მიწის ნაკვეთის და უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე გააფორმა არა შპს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოზე“, არამედ უკვე არარსებულ საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისზე“.

ამონაწერში საჯარო რეესტრიდან, რომელიც წარდგენილი იქნა „თბს ბანკში“, ფიგურირებს სწორედ ეს არარსებული სუბიექტი. ფაქტობრივად „თბს ბანკი“ იპოთეკის ხელშეკრულებას არასწორად აფორმებს შპს საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისზე“, ხოლო მიწის მართვის დეპარტამენტი კი იპოთეკის ხელშეკრულებას საჯარო რეესტრში ატარებს როგორც საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისს“.

აღსანიშნავია, მიწის მართვის დეპარტამენტი საჯარო რეესტრში უთითებს, რომ ორსართულიანი შენობა არის საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ საკუთრება, თუმცა მას ამის უფლება არ ჰქონდა. საკუთრების უფლებას შენობა-ნაგებობებზე ადასტურებენ მხოლოდ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები ცნობა-დახასიათებების მეშვეობით, რომელიც ძალაშია მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში.

მერაბ რატიანისა და მერაბ ჟორდანიას მიერ სესხის ნაწილი დაფარული იქნა, ხოლო დაუბრუნებელმა თანხამ დარიცხული პროცენტებით შეადგინა 130 ათასი აშშ დოლარი, რის გამოც სსკბ „თბს ბანკმა“ სარჩელი შეიტანა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში შპს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ მიმართ ვალის გადაუხდელობის გამო, თუმცა მანამდე სს კომერციულ ბანკ „თბს ბანკს“ ვალის სანაცვლოდ გადაეცა სს „მზიურის“ აქციების 35%.

1999 წლის 6 ივლისს ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა გადახდის ბრძანება, რომლის თანახმადაც შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ სსკბ „თბს ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისრა 202 952 აშშ დოლარი. აღნიშნული ბრძანების აღსრულება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებო დეპარტამენტს, რომლის გადაწყვეტილებითაც დანიშნული იყო დიღმის საწვრთნელი ბაზის აუქციონის წესით გაყიდვა.

აღნიშნულ საკითხში შსს ჩარევის შემდეგ 1999 წლის 1 ოქტომბერს ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით შეჩერებული იქნა მათ მიერ ადრე მიღებული გადახდის ბრძანების აღსრულება სარჩელის საბოლოოდ განხილვამდე, ხოლო შემდგომ კი სასამართლომ უარი უთხრა სსკბ „თბს ბანკს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

თავის მხრივ სსკბ „თბს ბანკმა“ საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის საოლქო სასამართლოს, რომელიც დღემდე არ განხილულა. შსს ინფორმაციით 2000 წლის ივლისში „თბს ბანკის“ დარჩენილი დავალიანება 130 ათას აშშ დოლარის ოდენობით მთლიანად დაფარულია ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან შემოსული თანხებით.

გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში არ არსებობს „კლუბის საქმე“. შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ 1996 წლიდან დღემდე საგადასახადო ინსპექციაში ბალანსი არ წარუდგენია, აქედან გამომდინარე არ მოუხდენია ანგარიშსწორება სახელმწიფო ბიუჯეტთან, ხოლო კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის — ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამოს“ ხელმძღვანელობის მიერ კი დღემდე არ დასმულა საკითხი შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით ან მისი ლიკვიდაციის შესახებ.

„თბს ბანკიდან“ ამოღებული დოკუმენტაციის შემხვედრი შემოწმებებით დადგენილია, რომ საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ 400 ათასი აშშ დოლარის კრედიტი მთლიანად აღებული აქვს შემოსავალში, რაც შემდგომ მიღებული აქვს სს „მზიურის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მერაბ რატიანს, თუმცა სს „მზიურს“ სალაროში შეტანილია ნაღდი ფული 478,3 ათასი ლარი, ანუ 62,5 ათასი ლარით ნაკლები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ დირექტორთა საბჭოს წევრების მიმართ 1999 წლის 15 ნოემბერს აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სახელმწიფოს მეთაურის 12.09.95 წლის №346 ბრძანებითა და მინისტრთა კაბინეტის 18.09.95 წლის №721 წერილის საფუძველზე სს „მზიურის“ აქციათა 35% გადაეცა შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თუმცა ხდება კი პირქით — კლუბის მოძიებული თანხები მიედინება სს „მზიურში“ კერძოდ, „თბს ბანკიდან“ სესხად აღებული 400 ათასი აშშ დოლარი და გიორგი დემეტრაძის ტრანსფერიდან 100 ათასი დოლარი.

საფეხბურთო კლუბში არ არის მკაცრ აღრიცხვაზე დაყენებული შემოსავლების ძირითადი წყარო ფეხბურთელების ტრანსფერები და მათი კონტრაქტები სხვადასხვა ქვეყნების კლუბებთან.

შსს ცნობის თანახმად ოფისში არ აღმოჩნდა არცერთი სატრანსფერო კონტრაქტი, მათ შორის, ალექსანდრე იაშვილის, ლევან ცქიტიშვილის და ლევან კობიაშვილის, რომლებიც 1997-98 წლებში გაიყიდნენ გერმანიის ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბ „ფრაიბურგში“, ამდენად, გამოძიებამ ვერ შეძლო დაედგინა აღნიშნული ფეხბურთელების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა.

შსს დაუკავშირდა კოლეგებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მათთან კონსულტაციის შემდეგ გერმანიის იუსტიციის მინისტრს გაეგზავნა საქართველოს გენერალური პროკურორის თხოვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გარდა ამისა შს სამინისტრომ გიორგი დემეტრაძის გაყიდვასთან დაკავშირებთი მოიპოვა შპს საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამოსა“ და ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბ „ალანიას“ შორის გაფორმებული ორი სატრანსფერო კონტრაქტის ქსეროასლი. ორივე დათარიღებულია 1998 წლის 2 ივლისით.

პირველი კონტრაქტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს თბილისის „დინამოს“ მაშინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, საფეხბურთო კლუბ „ალანიას“ თბილისის „დინამოსთვის“ 1998 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა გადაეხადა 320 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული კონტრაქტის მე-6 პუნქტში მითითებულია, რომ გიორგი დემეტრაძის საფეხბურთო კლუბ „ალანიიდან“ სხვა კლუბში გაყიდვის შემთხვევაში თბილისის „დინამოს“ უნდა მიეღო სატრანსფერო თანხის 50%. „ალანიის“ მხრიდან კონტრაქტზე ხელს აწერს კლუბის დირექტორი ბათრაზ ბითაროვი. რაც შეეხება გიორგი დემეტრაძეს, იგი 1999 წელს საფეხბურთო კლუბ „ალანიიდან“ გადავიდა კიევის „დინამოში“ და მასში, არსებული ინფორმაციით 3 მილიონი აშშ დოლარია გადახდილი.

მერაბ ჟორდანიას ფოტო

თბილისის „დინამოს“ საქმის კვლევამ კლუბის პრეზიდენტი მერაბ რატიანი საბრალდებო სკამზე დასვა

იხილეთ მომდევნო „სარბიელი“

ბერლინის „ჰერტას“ მცველი ეიოლფურ სვერისონი (მარცხნივ) და მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელი როკე სანტა კრუზი საგარაუდოდ ბუნდესლიგის პირველ ტურში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს

ყველა ერთის წინააღმდეგ

ბუნდესლიგამ ინტრიგა დაწყებამდე დაკარგა

გერმანია

ესპანეთში — „რეალი“ და „ბარსელონა“, ინგლისში — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“, იტალიაში — „ლაციო“ და „იუვენტუსი“. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თავინთი ჩემპიონატების უპირველეს ფავორიტებზე მოგახსენებთ. გერმანიაზე ალბათ ასე უნდა გკითქვა — მიუნხენის „ბაიერნი“ და ლევერკუზენის „ბაიერი“, მაგრამ...

„ბაიერნთან“ ქიშპობას ამ სეზონში ვერავინ შეძლებს“ — ეს სიტყვები კრისტოფ დაუმს ეკუთვნის, სწორედ იმ გუნდის მწვრთნელს, რომელსაც მიუნხენელთათვის მეტოქეობა უნდა გაეწია. დააკვირდებოდით, დაუმი მხოლოდ თავის „ლევერკუზენზე“ არ საუბრობს, სხვა ბუნდესლიგელებსაც გამორიცხავს ჩემპიონობისთვის ბრძოლიდან. ვერავინ შეედავება, შენ შენი თქვი, სხვის ნაცვლად რატომ ლაპარაკობო, რადგან დაუმის ნათქვამი ბუნდესლიგის ჩვიდმეტი გუნდის მწვრთნელის საერთო აზრია — მეთვრამეტეს, „ბაიერნს“ კონკურენტი არ ეყოლება.

უცნაური რამ ხდება, ზოგიერთები სკუდეტოს თუ ესპანეთს ჩემპიონობის მოსაპოვებლად ას მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავენ და საბოლოო ჯამში რა შერჩებათ, ღმერთმა უწყის. გერმანიაში კი ერთადერთ ფავორიტად მიიჩნევენ გუნდს, რომელმაც ამ ზაფხულს ახალი ფეხბურთელების შესაძენად სულ რაღაც 12.88 მილიონი დახარჯა — დღევანდელ სატრანსფერო საგიჟეთში სასაცილო თანხა. ამასთან დაკავშირებით, „ბაიერნის“ კომერციული დირექტორი ული ჰოენესი ამბობს: „ის, რასაც სხვები კრესპოსა და ფიგუში საარაკო თანხის გადახდით აკეთებენ, უბრალოდ სიგიჟეა“. მოდი და ნუ დაეთანხმები, რამდენიმე დღის წინ მიუნხენის ოთხთა ტურნირზე „ბაიერნმა“ იოლად სძლია „გალათასარაის“ და „მანჩესტერ უნაიტედს“, იქამდე კი ბუნდესლიგის თასის ფინალში სულ მთლად მიწასთან გაასწორა ბერლინის „ჰერტა“ (5:1).

მიუნხენის „ბაიერნის“ გარდა ბუნდესლიგაში კიდევ ჩვიდმეტი გუნდია და მათზეც, კრისტოფ დაუმის თქმით, ვიცე-ჩემპიონობის მაძიებლებზეც ვთქვათ.

უპირველესად, ცხადია, „ლევერკუზენი“ უნდა ვახსენოთ. ემერსონის გაყიდვით მიღებული ფული მათ სალაროში თითქმის ხელუხლებლად დევს, რადგან ახალშენაძენთა საერთო ღირებულება ოთხ მილიონს არ აღემატება. მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ლევერკუზენელები მდიდრები არიან. დაუმი ჩვენს, ჩვენ რომ ფეხბურთელის შეძენას მოვინდომებთ და ვაჭრობას ვიწყებთ, იტალიელებსა და ესპანელებს ფული უკვე მაგიდაზე უდევთო. თუმცა ახალწვეულებზე მეტად კრისტოფ დაუმს ძველების იმედი აქვს. დაცვაში იენს ნოვოტნი, ნახევარდაცვაში ზე რობერტო და მოიერიშე წყვილი პაოლო რინკი და ულფ კირსტენი — ლევერკუზენელთა მთავარი ძალა იქნება.

„ლევერკუზენის“ გარდა საპრიზო ადგილებისთვის ანუ გაისად ჩემპიონთა ლიგაში სათამაშოდ კვლავაც „ჰამბურგი“ და „მიუნხენ 1860“ იბრძოლებენ. მათ შესაძლოა, „კაიზერსლაუტერნიც“ შეუერთდეს, რომელმაც ჩრიაკო სფორცას სანაცვლოდ ჩეხეთის ნაკრების წევრები — ვრატისლავ ლოკვენცი და პერტ გაბრიელი შეიძინა (ამ უკანასკნელმა ევრო 2000-ზე ფრანგებთან მატჩში უხეში შეცდომებით დაგვამახსოვრა თავი).

„ბორუსიას“ ახალი მწვრთნელი მათიას ზამერი დორტმუნდელებს გუნდის აღორძინებას ჰპირდება და საქმიანობა სერია A-დან ფეხბურთელთა გადაბირებით დაიწყო. ოირგ ჰაინრიხმა და სანდი ოლისემ ჩემპიონთა ლიგის სამი წლის წინანდელ გამარჯვებულებს საყვარელი ფეხბურთელის, ანდრეას მიოლერის „შალკეში“ გადასვლა უნდა აუნაზღაუროს.

აქამდე „ფრაიბურგს“ რომ ვქომაგობდით, ახლა „კიოლნის“ ამბებიც განსაკუთრებით დაგვაინტერესებს. არჩილ არველაძესთან ერთად ბუნდესლიგის დებიუტანტს ოთხი სხვა ფეხბურთელიც შეუერთდა. მათგან ყველაზე ძვირადღირებული კი ჩეხი მიროსლავ ბარანეკია. სამი ახალი მეგობარი შეიძინეს ფრაიბურგელმა ქართველებმაც. საერთოდ კი „ფრაიბურგი“ ალბათ წინა სეზონის მე-12 ადგილის უფრო მაღალი საფეხურით შეცვლას შეეცდება, „კიოლნი“ კი — ბუნდესლიგაში ფეხის მყარად მოკიდებას.

გიორგი დარჯანია

შარშანდელი ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

ბაიერნი	34	22	7	5	73:28	73
ლევერკუზენი	34	21	10	3	74:36	73
ჰამბურგი	34	16	11	7	63:39	59
მიუნხენი	34	14	11	9	55:48	53
ლაუტერნი	34	15	5	14	54:59	50
ჰერტა	34	13	11	10	39:46	50
ვოლფსბურგი	34	12	13	9	51:58	49
შტუტგარტი	34	14	6	14	44:47	48
ვერდერი	34	13	8	13	65:52	47
უნტერჰახინგი	34	12	8	14	40:42	44
აინტრახტი	34	12	5	17	42:44	41
დორტმუნდი	34	9	13	12	41:38	40
ფრაიბურგი	34	10	10	14	45:50	40
შალკე	34	8	15	11	42:44	39
ჰანზა	34	8	14	12	44:60	38
ულმი	34	9	8	17	36:62	35
არმინია	34	7	9	18	40:61	30
დუისბურგი	34	4	10	20	37:71	22

გერმანული ბუნდესლიგის ტრანსფერები 2000-2001

ბაიერნი (მიუნხენი)

წავიდნენ: მარკუს ბაბელი (ლივერპული, ინგლისი, თავისუფალი აგენტი), სვენ შოიერი (ადანასფორი, თურქეთი, თავისუფალი აგენტი)

მოვიდნენ: ვილი სანიოლი (მონაკო, საფრანგეთი, 6.95 მილიონი დოლარი), ჩრიაკო სფორცა (კაიზერსლაუტერნი, 5.93), ბერქანტ გიოქთანი (არმინია, დაბრუნდა)

ბაიერი (ლევერკუზენი)

წავიდნენ: ემერსონი (რომა, იტალია, 16.67), შტეფან ბაინლიხი (ჰერტა, თავისუფალი აგენტი)

მოვიდნენ: მარკინოში (ინტერი, ლიმეირა, ბრაზილია, 1.39), სეიდალი მუსავი (ჰერტა, ინათხოვრეს), ანდრეას ნოიენდორფი (ჰერტა, ინათხოვრეს), პასკალ ოჯიგვე (კაიზერსლაუტერნი, 1.85), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი, შვეიცარია, 684,800)

ჰამბურგი

წავიდნენ: ფაბიან ერნსტი (ვერდერი, 926,300), დიმიტრიოს გრამოცისი (კაიზერსლაუტერნი, 833,700), ტომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი, 4.17)

მოვიდნენ: სერგი ბარბარესი (ბორუსია, დორტმუნდი, 1.62), მარსელ კეტელაერი (ბორუსია, მიონხენგლადბახი, 2.55), სტიგ ტოფტინგი (ორჰუსი, დანია, თავისუფალი აგენტი)

მიუნხენ 1860

წავიდნენ: მიშელ დინზეი (ჰანოვერ 96, 231,600)

მოვიდნენ: ერიკ მიუკლანდი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი, თავისუფალი აგენტი), მარკუს ბაიერლე (დუისბურგი, თავისუფალი აგენტი), უვე ელერსი (ჰანზა, თავისუფალი აგენტი), საიმონ იენჩი (კარლსრუე, 463,200)

კაიზერსლაუტერნი

წავიდნენ: ჩრიაკო სფორცა (ბაიერნი, 5.93), იანუშ ჰრუტკა (აინტრახტი, თავისუფალი აგენტი), პასკალ ოჯიგვე (ბაიერი, ლევერკუზენი, 1.85), მარტინ ვაგნერი (ვოლფსბურგი, თავისუფალი აგენტი), ანდრეას რაინკე (ირაკლისი, საბერძნეთი, თავისუფალი აგენტი)

მოვიდნენ: ვრატისლავ ლოკვენცი (სპარტა, ჩეხეთი, 3.01), პეტრ გაბრიელი (სპარტა, ჩეხეთი, 1.39), მურატ იაკინი (ბაზელი, შვეიცარია, თანხა უცნობია), დიმიტრიოს გრამოცისი (ჰამბურგი, 833,700), ლაიოშ შუცი (ფერენცვაროში, უნგრეთი, თავისუფალი აგენტი)

ჰერტა (ბერლინი)

წავიდნენ: ანდრეას ნოიენდორფი (ბაიერი, ლევერკუზენი, გაანათხოვრეს), სეიდალი მუსავი (ბაიერი, ლევერკუზენი, გაანათხოვრეს), კეტილ რეკდალი (ვალერენგა, ნორვეგია, თავისუფალი აგენტი), ილია არაჩიჩი (არმინია, 1.16), ანტე კოვიჩი (ბოხუმი, თავისუფალი აგენტი), სერგეი მანდრეკო (ბოხუმი, თავისუფალი აგენტი), ჰენდრიკ ჰერცოგი (თამაში მიატოვა)

მოვიდნენ: შტეფან ბაინლიხი (ბაიერი, ლევერკუზენი, თავისუფალი აგენტი), რუი მანუელ მარკეში (ულმი, თავისუფალი აგენტი), პიოტრ რაისი (დუისბურგი, ინათხოვრეს)

ვოლფსბურგი

წავიდნენ: ჰოლგერ ბალვანცი (ჰანოვერ 96, 185,300), ჟან კასონგო ბანზა (დუისბურგი, გაანათხოვრეს), დეტლეფ დამაიერი (არმინია, 185,300)

მოვიდნენ: მარტინ ვაგნერი (კაიზერსლაუტერნი, თავისუფალი აგენტი), დიტმარ კუჰბაუერი (სოსიედადი, ესპანეთი, თავისუფალი აგენტი), მაიკ ბუში (ჰანოვერ 96, თავისუფალი აგენტი)

შტუტგარტი

წავიდნენ: ფრანც ვოლფარტი (აუსტრია, ავსტრია, თავისუფალი აგენტი), იენს კელერი (კიოლნი, 694,800), თომას ბერთოლდი (თამაში მიატოვა)

მოვიდნენ: სილვიო მაისნერი (არმინია, 1.11), იოხენ ზაიცი (უნტერჰახინგი, 231,600)

ვერდერი (ბრემენი)

წავიდნენ: ჟულიო სეზარი (თამაში მიატოვა), იაცეკ ჩანკო (თამაში მიატოვა)

მოვიდნენ: ფრანკ ვერლაატი (აიაქსი, ჰოლანდია, 1.85), ივიცა ბანოვიჩი (ზაგრები, ხორვატია, 1.85), ფაბიან ერნსტი (ჰამბურგი, 926,300), მლადენ კრსტაიჩი (პარტიზანი, იუგოსლავია, 1.16)

უნტერჰახინგი

წავიდნენ: იოხენ ზაიცი (შტუტგარტი, 231,600)

მოვიდნენ: ალექსანდრ ბუგერა (დუისბურგი, ინათხოვრეს), დავიდ ალენ ზდრილიჩი (ულმი, 694,800)

ბორუსია (დორტმუნდი)

წავიდნენ: სერგი ბარბარესი (ჰამბურგი, 1.62), ანდრეას მიოლერი (შალკე, თავისუფალი აგენტი), ვოლფგანგ ფაიერზინგერი (ლინცერი, ავსტრია, თავისუფალი აგენტი)

მოვიდნენ: იორგ ჰაინრიხი (ფიორენტინა, იტალია, 3.71), სანდი ოლისე (იუვენტუსი, იტალია, 5.56)

ფრაიბურგი

წავიდნენ: ალი გიუნეში (ფენერბაჰჩე, თურქეთი, 694,800), მირან პავლინი (პორტუ, პორტუგალია, 833,700)

მოვიდნენ: ისმაილ კულიბალი (ზამალექი, ეგვიპტე, 185,300), სებასტიან კელი (ჰანოვერ 96, 92,630), რეჟის დორნი (სტრასბური, საფრანგეთი, თავისუფალი აგენტი

აინტრახტი (ფრანკფურტი)

წავიდნენ: ტიბორ დომბი (დებრეცენი, უნგრეთი, თავისუფალი აგენტი)

მოვიდნენ: იანუშ ჰრუტკა (კაიზერსლაუტერნი, თავისუფალი აგენტი), საშა ჩირიჩი (ტენის ბორუსია, ინათხოვრეს), ეროლ ბულუტი (ტრაბზონსფორი, თურქეთი, ინათხოვრეს)

შალკე (გელზენკირხენი)

წავიდნენ: მარკ ვილმოტსი (ბორდო, საფრანგეთი, 2.78)

მოვიდნენ: ანდრეას მიოლერი (ბორუსია, დორტმუნდი, თავისუფალი აგენტი), ტომაშ ჰაიტო (დუისბურგი, 694,800), მიხაელ ბიუსკენსი (დუისბურგი, დაბრუნდა)

ჰანზა (როსტოკი)

წავიდნენ: უვე ელერსი (მიუნხენ 1860, თავისუფალი აგენტი), რონი ტიელემანი (კოტბუსი, თავისუფალი აგენტი)

მოვიდნენ: ანდრეას იაკობსონი (ჰელსინგბორგი, შვედეთი, 1.16), რენე რიდლევიჩი (არმინია, თავისუფალი აგენტი), რაიკ შრიოდერი (კოტბუსი, თავისუფალი აგენტი)

კიოლნი

წავიდნენ: ხოდადად აზიზი (სანხოსე, აშშ, თავისუფალი აგენტი)

მოვიდნენ: მიროსლავ ბარანეკი (სპარტა, ჩეხეთი, 1.39), დარკო პივალიევიჩი (ანტვერპენი, ბელგია, 1.39), მარკუს კროიცი (ჰანოვერ 96, 926,300), იენს კელერი (შტუტგარტი, 684,800), **არჩილ არველაძე** (ბრედა, ჰოლანდია, თავისუფალი აგენტი)

ბოხუმი

წავიდნენ: სვენ ბოი (ფიურტი, 139,000)

მოვიდნენ: ზორან მამიჩი (ბაიერი, ლევერკუზენი, 495,000), ანტე კოვიჩი (ჰერტა, თავისუფალი აგენტი), სერგეი მანდრეკო (ჰერტა, თავისუფალი აგენტი)

კოტბუსი

წავიდნენ: რაიკ შრიოდერი (ჰანზა, თავისუფალი აგენტი)

მოვიდნენ: ფერენც ჰორვატი (გენკი, ბელგია, 416,900), ბრუნო აკპაროვიჩი (ტენის ბორუსია, 139,000), რონი ტიელემანი (ჰანზა, თავისუფალი აგენტი)

ბრაზილიელი ემერსონი იტალიურ „რომაში“ ბუნდესლიგისთვის სარეკორდო 36 მილიონ მარკად (16.67 მილიონი დოლარი) გაიყიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია უჭარდელობა...

კიევის „დინამომ“ შინ „ცრვენა ზვეზდას“ ვერაფერი მოუხერხა, ვარსკლავებით გადაჭედილი „ინტერი“ შვედთა ჩემპიონთან დამარცხდა. ანდრეი შევჩენკომ „მილანი“ სირცხვილისგან იხსნა — ორიოდე სიტყვით ასე შეგვიძლია შევაფასოთ ჩემპიონთა ლიგის მესამე, გადამწყვეტი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები. მერე ჩვენ, ქართველებს ამით რა? ბევრიც არაფერი. კი, ბატონო, კახა კალაძეს და გიორგი დემეტრაძეს ვქომაგობთ, ორი დღის წინ ზაზა ჯანაშიას ლიგაში ფაქტობრივად ვერმოხვედრამ დაგვამწუხრა, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა. ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი გუნდი ვერც ამჯერად ითამაშებს. გვქონდა კი იმედი? მხოლოდ მეტისმეტად გულუბრყვილოებს. ამიტომ ჩემპიონთა ლიგის საქართველოში შემოსვლამდე ისღა დაგვრჩენია, უცხოელთა თამაშებზე ვინერვიულოთ და ვისურვოთ, ჩემპიონთა ლიგაში ის გუნდები მოხვდნენ, ვისი თამაშის ხილვაც უფრო გვეამება.

საშშაბათს გამართული საკვალიფიკაციო მატჩების მერე, სასწაული იქნება, „ლიონი“, „სპარტა“, „ჰამბურგი“ და „ბეშიქთაში“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა თუ დარჩებიან. ახლა იგივეს თქმა შოტლანდიურ „რეინჯერსზეც“ შეიძლება, მით უფრო, რომ სქოთთა მსგავსად სტუმრად 3:0 არავის მოუგია.

ბევრჯერ გვითქვამს, ამ ეტაპზე სუსტი მეტოქეები არ არსებობენო, მაგრამ გამონაკლისი ყველა წესს აქვს და „რეინჯერსს“ „ჰერფიოლგეს“ დამარცხება სწორედ რომ არ გასჭირვებია. სიმართლე რომ ვთქვათ, დიდად გულდაწყვეტილნი არც დანიელები დარჩენილან — „ჰერფიოლგე“ ქვეყნის ჩემპიონი რომ გახდა, მათთვის უკვე პატარა საოცრება იყო და მეტს არც მოელოდნენ.

შოტლანდიელთა მსგავსად, ოთხშაბათს კიდევ ორმა გუნდმა გაიმარჯვა სტუმრად, ჩეხურმა „სლავიამ“ და უეფას თასის მფლობელმა „გალათასარაიმ“.

დონეცკელებს სულ რაღაც სამი წუთი უნდა გაეძლოთ, რათა მატჩი თანამემამულე „დინამოს“ მსგავსი ანგარიშით დაესრულებინათ. ტომაშ დოშეკის ერთადერთი გოლი კი უკრაინელთა შეუთანხმებელი მოქმედების შედეგია. „შახტარის“ მეკარე იური ფირტმა თავისივე მცველს ვერ გაუგო და დოშეკს დასანანი (ცხადია, უკრაინელთათვის) გოლი გაატანინა. არადა, თამაშის მიხედვით „სლავია“ მოგებას ნაკლებად იმსახურებდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გალათასარაიმაც“ გასვლაზე მოიგო. თუმცა აქ სიტყვა „გასვლა“ უფრო პირობითად ნათქვამია, რადგან „სენტ გალენმა“ მეტოქე შვეიცარიაში, მაგრამ არა საკუთარ მოედანზე მიიღო. ამ მატჩზე საუბრისას სატრანსფერო თემას გვერდს ვერ ავუვლით. უამრავი შემთხვევა გვახსოვს, რომ ახალწვეული ფეხბურთელი იმედებს ვერ ამართლებს, „გალათასარაის“ კი ამ მხრივ საწუწუნო არაფერი აქვს. მაშინ, როცა თურქები 0:1 აგებდნენ, „პორტუდან“ გადაყვანილმა მარიო ჟარდელმა, წინა ჩემპიონთა ლიგის თანამბარდირმა, დუბლი შეასრულა და თავის ახალ გუნდს საპასუხო მატჩის წინ საქმე ერთიორად გაუადვილა (აქვე გავიხსენოთ, რომ თავის დროზე ახალწვეული თემურ ქეცბაიას გოლმა „ნიუკასლი“ ჩემპიონთა ლიგაში მოახვედრა).

უჭარდელოდ დარჩენილმა „პორტუმ“ სტუმრად ბელგიურ „ანდერლეხტთან“ წააგო, თუმცა მინიმალური ანგარიშით მარცხი ლიგის წინა გათამაშების მეოთხედფინალისტებს საპასუხო მატჩის წინ გამარჯვების კარგ შანსს უტოვებს. ეს ერთადერთი გოლი კი ბერტრან კრასნონის პასით ჩეხმა იან კოლერმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ანდერლეხტის“ და „პორტუს“ მცველები საკმაოდ ბევრს სცოდავდნენ და თავდასხმელებს ცოტაოდენი იღბალიც რომ ჰქონოდათ, მაყურებელი ერთზე მეტ გოლს იხილავდა.

„სენტ გალენის“ არ იყოს, უნგრეთის ჩემპიონ „დუნაუერსაც“ არ უთამაშია თავის მოედანზე. პირველი ტაიმი ისე მიილია, ორივე გუნდის მცველებს შეცდომა პრაქტიკულად არ დაუშვიათ. მეორე ტაიმში კი დაღლა დაეტყოთ და შეცვლაზე შესულმა მოთამაშეებმა დაჩაგრეს. მეორე და მესამე გოლები მატჩში მეორე ტაიმიდან ჩართულებმა უნგრელმა ფერენც ლენგიელმა და ნორვეგიელმა მორტენ კნუდსენმა გაიტანეს. თუმც მიუხედავად იმისა, უნგრელები ორჯერ აგებდნენ თამაშს, ფრეს მაინც მიაღწიეს.

შინ მარცხს გადარჩა „პოლონიაც“. 38-ე წუთისთვის „პანათინაიკოსი“ 2:0 იგებდა და ამ წყვილიდან ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელის ვინაობა ეჭვს, ფაქტობრივად აღარ ტოვებდა, მაგრამ პოლონელებმა საპასუხო მატჩს ინტრიგა დაუტოვეს და ეგებ ლიგაში პოლონური გუნდიც ვიხილოთ, თუმცა ფავორიტებად, ცხადია, მაინც ბერძნები რჩებიან.

კლაუდიო და ხერარდ ლოპესების გარეშე დარჩენილი „ვალენსია“ „ტიროლთან“ შეხვედრაში უგოლოდაც დარჩა. თუმცა გაისკა მენდიეტამ ერთხელ ძელს გაარტყა. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საკუთარი კარიც მშრალად შეინახეს, ლიგაში თამაშის მეტი შანსი სწორედ წინა გათამაშების ფინალისტს აქვს.

ქართველთა სათაყვანებელი გუნდი არც „ინტერია“ და მით უმეტეს არც „ჰელსინგბორგი“, მაგრამ კარგი სანახაობის თვალსაზრისით ლიგაში იტალიელთა ხილვა გვირჩევნია, ვიდრე შვედთა ჩემპიონისა. ამიტომ „ინტერის“ კარში 82-ე წუთზე გატანილი ჰანსონის გოლი შემთხვევითობად მივიჩნიოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ მილანელები შინ მეტოქეს იოლად გაუსწორდებიან.

როცა „ინტერი“ შვედეთს სტუმრობდა, მილანის მეორე ნახევარს თვალი „სან სიროსკენ“ ეჭირა, სადაც მატჩის დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი რენატო ფილიპოვიჩმა „მილანის“ კარში გადაგზავნა.

მაგრამ „მილანს“ ჰყავს შევჩენკო და როგორც ჩანს, სერია A-ს წინა სეზონის ბომბარდირს მეგოლეობაში თანაგუნდელთაგან ახლაც ვერავინ შეეცილება.

ოთხშაბათის მთავარ მატჩად კი წილისყრის დაწყებისთანავე „ლიდსი“ — „მიუნხენ 1860“ მოინათლა.

90-ე წუთისთვის „ლიდსი“ ორბურთიან უპირატესობას ფლობდა და იქაური ქომაგებიც დიდად კმაყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ სულ ბოლოს აგოსტინოს დარტყმულმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ახლა გერმანელებს შინ სულ მინიმალური ანგარიშით მოგებაც ხელს აძლევთ. ჩვენც ეს გვინდა, რადგან საპასუხო მატჩი უფრო საინტერესო საყურებელი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, „ლიდსს“ 2:0 რომ მოეგო.

ლიდსური შეხვედრა სხვა რამითაც გამოირჩა. არბიტრს სამჯერ მოუხდა წითელი ბარათის ამოღება. მეორე გაფრთხილების გამო მან ლიდსელები ოლივიე დაკური და ერიკ ბაკე გააძევა, ხოლო მიუნხენელმა ნედ ზელიჩმა იან ჰარტთან უხეშობისთვის პირდაპირ წითელი დაიმსახურა.

კიევში „დინამო“ ჩვენი „ტორპედოს“ მძლეველ „ცრვენა ზვეზდას“ თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდა. ვალერი ლობანოვსკის სამწყსოს ძირითადის მხოლოდ ორი კაცი — მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი, რომელიც ტრავმირებულია და ქართველი კახა კალაძე აკლდა. მოლოდინი არ გამართლდა, მძიმე ტრავმისგან მომჯობინებული კალაძე იუგოსლავიელებთან ითამაშებსო. ლობანოვსკიმ არ გარისკა და ფორმადაკარგული კალაძე სასტარტოში არ დააყენა, თუმცა მის გვარს ვერც სათადარიგოთა შორის ამოიკითხავდით.

გიორგი დემეტრაძე კი ლობანოვსკიმ, უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ორი ტურისგან განსხვავებით, თავიდანვე ძირითადში ჩართო და შეტევის ხაზში უზბეკ მაქსიმ შაკიხს შეუწყვილა. ერთი სიტყვით, „დინამოს“ ქართულ-უზბეკური თავდასხმა შეეცდებოდა ბალკანელთა კარის დალაშქვრას. ასეც მოხდა. უკვე მესამე წუთზე დემეტრაძემ ალექსანდრ კოციჩს კი გაუტანა, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა, რომელსაც შემდეგ ინგლისელი დერმოტ გალაჰერიც დაეთანხმა, რატომღაც თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. არადა, გიორგის ბურთი იუგოსლავიელი მცველისგან მიუვიდა.

„ეს მართლაც უიღბლობა გახლდათ, იმდენი გამოუყენებელი მომენტი იყო, კაცს სთვალავიც კი აერეოდა“ — თქვა მატჩის შემდეგ „დინამოს“ მწვრთნელის თანაშემწემ, ალექსი მიხაილიჩენკომ. გუშინწინდელი მატჩი „ევროსპორტმა“ პირდაპირ ეთერში გადასცა და „აიეტის“ მქონე დაინტერესებულ ქართველ გულშემატკივრებს მისი ხილვის საშუალება ექნებოდათ. მოდით, ასეთი კითხვა დავსვათ: კიევის „დინამომ“ ვერ გაიტანა ასპროცენტიანი გასატანი ბურთები თუ „ცრვენა ზვეზდას“ უბრალოდ გაუმართლა? სტუმართა მწვრთნელმა სლავოლიუბ მუსლინმა თავიდანვე დაცვითი ტაქტიკა, სწრაფად კონტრშეტევებზე თამაში არჩია. ამან უფრო პირველ ტაიმში გაამართლა, როცა იუგოსლავიელებმა რამდენჯერმე კერნოზენკოს კარს ხიფათი შეუქმნეს. აი, მეორეში კი „ცრვენა ზვეზდა“ მთელი გუნდით დაცვაში ჩაჯდა, მეტოქის კარისკენ, რომ იტყვიან, არც გაუხედავს. რა მოხდება საპასუხო მატჩში? ორი კვირის მერე ბელგრადში „მარაკანაზე“, ცხადია, სულ სხვა ფეხბურთი იქნება, მასპინძლები აუცილებლად შეუტევენ, „დინამო“ კი ალბათ, თავის საყვარელ ტაქტიკას, კონტრშეტევებზე თამაშს არ უღალატებს. ქართველები ახლაც უკრაინელებს უქომაგებენ, რათა კახა კალაძისა და გიორგი დემეტრაძის გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მოხვდეს.

გიორგი დარჯანია
გიორგი ვაჩაკიძე

REUTERS ბელსინგბორგიდან

ჰელსინგბორგი — ინტერი 1:0. მილანელებს ახალმა შენაძენმა თურქმა ჰაჭან შუკურმაც ვერ უშველა

REUTERS ციურიხიდან

სენტ გალენი — გალათასარაი 1:2. სტამბოლელთა ახალწვეულმა ბრაზილიელმა მარიო ჟარდელმა მასპინძლებს ორჯერ გაუტანა

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები. 7-8-9 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

დინამო (კიევი, უკრაინა) 0:0 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
დინამო: კერნოზენკო, ხაცკევიჩი, გოლოვკო, ვაშუკი, დმიტრულინი, შაციხი, დემეტრაძე (სერებრენნიკოვი 75), გულინი, იაშკინი, მოროზი (ბელკევიჩი 61), ნესმაჩნი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
ცრვენა ზვეზდა: კოციჩი, მარკოვიჩი, გლოგოვაცი, ბუნიევჩევიჩი, ლალატოვიჩი, ბაიჩეტიჩი, გავზდენოვიჩი, ბოშკოვიჩი, ლერინეი, დრულიჩი, პიანოვიჩი
მწვრთნელი: სლავოლიუბ მუსლინი
მსაჯი: დ. გალაბერი (ინგლისი)
18 000 მაყურებელი

ჰერფიოლგე (დანია) 0:3 რეინჯერსი (შოტლანდია)
0:1 ალბერტეი (28), 0:2 უოლეი (31), 0:3 ლ. ამორუზო (59)

ჰელსინგბორგი (შვედეთი) 1:0 ინტერი (იტალია)
1:0 ჰანსონი (82)

შახტარი (უკრაინა) 0:1 სლავია (ჩეხეთი)
0:1 ტ. დოშეკი (87)

ანდერლეხტი (ბელგია) 1:0 პორტუ (პორტუგალია)
1:0 კოლერი (37)

პოლონია (პოლონეთი) 2:2 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
0:1 ვარგასი (9), 0:2 ფისასი (38), 1:2 კიელბოვიჩი (45), 2:2 კალიანანი (68)

დუნაფერი (უნგრეთი) 2:2 რუსენბორგი (ნორვეგია)
0:1 ფ. ოინსენი (52), 1:1 ლენგიელი (80), 1:2 ანუდსენი (87), 2:2 ტოკოლი (88)

ტიროლი (ავსტრია) 0:0 ვალენსია (ესპანეთი)

ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) 2:1 მიუნხენ 1860 (გერმანია)
1:0 სმიტი (40), 2:0 ბარტი (71), 2:1 აგოსტინო (90)
გაძევება: ლიდსი: დაკური (75), ბაკე (84); მიუნხენი: ზელიჩი (41)

სენტ გალენი (შვეიცარია) 1:2 გალათასარაი (თურქეთი)
1:0 ამოა (14), 1:1, 1:2 ჟარდელი (39, 78)

მილანი (იტალია) 3:1 დინამო (ზაგრები, ხორვატია)
0:1 ფილიპოვიჩი (20), 1:1, 2:1 შევჩენკო (22, 60), 3:1 კომანდინი (90)

ინტერი (სლოვაკეთი) 1:2 ლიონი (საფრანგეთი)
0:1 ანდერსონი (50), 1:1 ნემეტი (75), 1:2 დელმოტი (89)

ზიმბრუ (მოლდოვა) 0:1 სპარტა (ჩეხეთი)
0:1 ობიედინი (61)

ბრონდბიუ (დანია) 0:2 ჰამბურგი (გერმანია)
0:1 ბარბარესი (83), 0:2 მაზდეკია (85)

შტურმი (ავსტრია) 2:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია)
0:1 კორნელეი (7), 1:1, 2:1 შოპი (22 პ, 90 პ)
გაძევება: ხულიო კრუზი (90, ფეიენოორდი)

ბეშიქთაში (თურქეთი) 3:0 ლოკომოტივი (რუსეთი)
1:0 ნიმათი (10), 2:0 ნუმა (80), 3:0 კარმანი (90)
ბეშიქთაში: შორუნბუ, კარმანი, ტაიფური, ხლესტოვი (ერმანი 38), ხალილაჯიჩი, აბმეთი (მურატი 60), ნიმათი, მეჰმეთი, მიუნსი, უმითი (რაჰიმი 46), ნუმა
მწვრთნელი: ნეფიო სკალა
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიეტგოროდოვი, დროზდოვი, ეფსეევი, პაშინინი, ჩუგაინოვი, ბულიკინი (სარტასიანი 83), ლაფრიკი, ჭანაშია (პიმენოვი 65), ლოსკოვი, ხარლაჩევი (სოლომატინი 57)
მწვრთნელი: იური სიომინი
მსაჯი: ჯ. ტრენტალანჟე (იტალია)
20 000 მაყურებელი

დავიდ ჟინოლა

მას ბირმინგემი გულთბილად შეეგება

დავიდ ჟინოლა „ტოტენჰემიდან“ „ასტონ ვილაში“ ცოტა ხნის წინ გადაბარგდა. ფრანგ ნახევარმცველს ბირმინგემში გულთბილად შეხვდნენ, ახლა იგი მათი კლუბისთვის უნდა გაისარჯოს. როგორც მერე გაირკვა, ჟინოლა „ტოტენჰემიდან“ არცთუ ნასიამოვნები წამოსულა, „ასტონ ვილაში“ რომ ჩაირიცხა, ჭორებიც დაუყარეს, სანაცვლოდ „მერსედესის“ მდიდრული მანქანები მოითხოვეთ. ყველაფერზე დავიდი თავად გვიამბობს.

— „ასტონ ვილაში“ სულ ახლახან გადახვედით. როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები კლუბზე?

— საუცხოო კოლექტივია, „ასტონ ვილაზე“ ყოველთვის კარგი მსმენია და ახლა თავად დავრწმუნდი. ძალიან გულიანად შემეგებნენ, რაც მთავარია, ვგრძნობ, რომ მათ ვჭირდები და ეს მსიამოვნებს. „ვილას“ ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა ჩემს გადასაბირებლად. ვგონებ, მწვრთნელის იმედებს გავამართლებ, მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ.

— „ასტონ ვილას“ ფანებთან როგორი ურთიერთობა დაამყარეთ?

— მხურვალე შეხვედრა მომიწყვეს. როცა კონტრაქტი გავაფორმე, „ვილა პარკზე“ მრავალი გულშემატკივარი შეიკრიბა. ძალიან სასიამოვნოა, როცა ახალ კლუბში ასე გეგებებიან. ფანებს მაისურაზე 14 ნომერი და ჩემი გვარი ეწერათ. ისინი ჩემგან რაღაც ახალს ელიან, იმედოვნებენ, რომ „ასტონ ვილას“ წარმატებებს მოვუტან. ვეცდები, ქომაგები არ გავაწბილო.

— ალბათ, კარგია ისეთ მწვრთნელთან მუშაობა, რომელიც შენს ნიჭს და ტალანტს ხედავს და აფასებს.

— დიახ, ჯონ გრეგორის ჩემი სჯერა. სწამს, რომ ასაკის მიუხედავად მეტოქის დაცვის დაწიოკება კვლავაც შემიძლია. მას ლაღი და შემტევი სტილის მოთამაშეები მოსწონს. მოუთმენლად ველი ახალი სეზონის დაწყებას, მსურს ჩემი შესაძლებლობები გამოვავლინო და „ვილას“ ქომაგები გავახარო. ჯონ გრეგორის კონტრაქტის გაფორმებამდე ვესაუბრე, შევატყვე, გულწრფელად უნდოდა, რომ „ასტონ ვილაში“ გადავსულიყავი. მეც ამიტომ დავთანხმდი.

— სხვა კლუბები თუ გეპატიჟებოდნენ?

— დიახ. შემოთავაზებები უცხოეთიდანაც მქონდა, მაგრამ მათთვის უარის თქმა მომიხდა. ზოგიერთი პრემიერლიგური და წამყვანი ევროპული კლუბი მეპატიჟებოდა, თურქეთიდანაც შემეხმიანნენ, ჩემს აგენტს ამერიკიდანაც დაუკავშირდნენ. მაგრამ მე პრემიერლიგაში თამაში მსიამოვნებს და ძალიან მინდა, ბირმინგემულ კლუბთან ერთად რაიმე ჯილდო მოვიგო.

— „ტოტენჰემში“ რა მოხდა, იქიდან რატომ წამოხვედით?

— ვიგრძენი, რომ ხელმძღვანელობას ჩემი კლუბიდან გაშვება სურდა. ისიც შევიტყვე, 3 მილიონ გირვანქას ითხოვდნენ ჩემს სანაცვლოდ. ეს მეწყინა კიდეც. ახლა 33 წლის ვარ, მაგრამ ჯონს, სულ მცირე ორ სეზონს მაინც ვითამაშებ. ვიფიქრე, რომ „ტოტენჰემის“ დატოვება აჯობებდა და საბოლოოდ ასეც მოვიქეცი.

— თქვენი გუნდიდან გაშვება ვინ გადაწყვიტა, მწვრთნელმა ჯორჯ გრემმა თუ თავმჯდომარე ალან შუგარმა?

— ზუსტად ამას ვერ ვიტყვი. თუმცა ძალიან გამიკვირდა, როცა ჯორჯ გრემმა გაზეთებს განუცხადა, ჟინოლას „ტოტენჰემიდან“ გაშვება არ მსურდაო. თუ მართლაც ასე იყო, მას შეეძლო, ალან შუგარისთვის ყველაფერი აეხსნა და „ასტონ ვილას“ შემოთავაზებაზე უარი ეთქვა, მაგრამ ასე არ მოიქცა... რაც უნდა იყოს, ეს ყველაფერი ახლა ისტორიაა. ამჟამად ბირმინგემში, სულ სხვა კლუბში ვარ და „ტოტენჰემი“ უკვე წარსულია. ამიტომაც არ გავბოროტებულვარ, არც ანგარიშსწორებაზე მიფიქრია. ამას მხოლოდ უბედურება მოაქვს. ყოველთვის ჯობია, კეთილი საქმეები აკეთო და ხალხის ბედნიერებასა და სიამოვნებაზე იზრუნო.

— მართალია, თითქოს „ასტონ ვილაში“ გადასვლის სანაცვლოდ თქვენთვის და მეუღლისთვის „მერსედესის“ მანქანები მოითხოვეთ?

— ძალიან ბევრი ჭორი გავრცელდა. ისიც დამაბრალეს, მდიდრულ აპარტამენტში დასახლება მოინდომაო, მაგრამ შემიძლია დავადასტურო, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა. ის რაც მოვითხოვე, მხოლოდ ხელფასი იყო, დანარჩენი კი გამოგონილია. ზოგს საჭორაო თემა არ ელევა, რას არ გაიგებ, ხანდახან ისეთ რამეს მოჰკრავ ყურს, გაგიკვირდება და გაგეცინება.

— არ დარდობთ, „ტოტენჰემიდან“ რომ წამოხვედით და გულშემატკივარი მიატოვეთ?

— დიახ, ვწუხვარ, რომ ასე გამოვიდა და მსურს, მათ ბოდიში მოვუხადო. ლონდონში სამი წელი გავატარე და ქომაგებთან ჩინებული ურთიერთობა მქონდა. გამოვიტყდებით, გუნდის დატოვებას არ ვაპირებდი, სიამოვნებით დავრჩებოდი და „ტოტენჰემთან“ ერთად ტიტულებს მოვიგებდი, თუმცა ამ გეგმებს განხორციელება არ ეწერა. ლონდონელი გულშემატკივარი მაინც ძალიან მიყვარს და ყოველთვის მეყვარება, მაგრამ ახლა ბირმინგემში ვარ, ახალ ქომაგებთან, ახალ გუნდთან სულ სხვა ცხოვრებას ვიწყებ.

თარგმნა ნიკა შუგლაძემ

ჩარლტონის ახალგაზრდა ფეხბურთელი ტბაში დაიხრჩო

„ჩარლტონ ატლეტიკი“ დაღუპულ ფეხბურთელს, 17 წლის პიერ ბოლანჯის ელოვობს. ყმაწვილი მცველი ჰემპშირში, სამხედრო ტერიტორიაზე გაუჩინარდა, სადაც გუნდი ფიზიკური მომზადების ვარჯიშებს ატარებდა. ბოლანჯი, ცხადია, მოიძიეს, შეიქმნა სპეციალური ჯგუფი — დაახლოებით 30 ჯარისკაცი, პოლიციელები და კლუბის წევრები დაკარგული მოთამაშის პოვნას შეეცადნენ.

და იპოვეს კიდეც — იმავე ტერიტორიაზე მდებარე ტბაში დამხრჩვალი. „საუბედუროდ, ცოცხალს ვერ მივუსწარით. მისი გვამი ტბაში, ნაპირიდან 15 მეტრის მოშორებით აღმოაჩინეს მყვინთავებმა — განაცხადა ჰემპშირის პოლიციამ — „გამოძიებას ვაწარმოებთ და დავადგენთ, თუ რამ გამოიწვია ბოლანჯის სიკვდილი“.

„ტრაგედიამ შეგვზარა, პიერის ოჯახს სამძიმარს ვუცხადებთ. პოლიცია ალბათ ყველაფერს გამოიკვლევს, მათ ჩვენც შეძლებისდაგვარად დავეხმარებით“ — თქვა „ჩარლტონის“ აღმასრულებელმა შეფმა პიტერ უორნლიმ.

ბოლანჯმა „ჩარლტონის“ საფეხბურთო აკადემიაში 2 წელიწადი გაატარა. სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელს არ დასცალდა...



პიერ ბოლანჯი

ფეხბურთის რუკაზე

გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბერლინის „ჰერტას“ ბრაზილიელი ფორვარდი ალექს ალვეში ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ფეხბურთელი 24 ივლისს გერმანიის ლიგის თასის შეხვედრაში „ჰამბურგის“ ნახევარმცველ ნიკო კოვაჩს ეუხეშა. იგი მაშინ მოედნიდან გააძევეს. სადისციპლინო კომისიამ მისი საკითხი ახლა განიხილა. ბრაზილიელი „ჰერტას“ 6 სექტემბრამდე ვერ დაეხმარება.

იტალიელმა ბენიტო კარბონემ „ბრედფორდთან“ გააფორმა კონტრაქტი. „ასტონ ვილას“ ფეხბურთელი ახალ კლუბში ოთხ სეზონს დაჰყოფს. კლუბებს სატრანსფერო თანხა არ განუცხადებიათ. „კარბონე ჩინებული ფორვარდია და საჭირო გოლების გატანა ძალუძს“ — განაცხადა „ბრედფორდის“ მენეჯერმა. ბენიტო გუნდში მეხუთე ახალწვეულია. ახალი სეზონის დაწყებამდე კლუბს დევიდ ჰოჯინი, დან პეტრესკუ, პიტერ აზერტონი და იან ნოლანი შეუერთდნენ. 28 წლის იტალიელი „ასტონ ვილაში“ ოქტომბრიდან თამაშობდა. იგი ბირმინგემულ გუნდში „შეფილდ უენსდიდან“ გადავიდა, მანამდე კი მილანის „ინტერშიც“ უთამაშია. „ბრედფორდის“ თავმჯდომარესა და მწვრთნელს ვესაუბრე, მივხვდი, რომ წლეულს წარმატების მიღწევა სურთ და კარგია, თუ მათ დახმარებას შევძლებ“ — განაცხადა კარბონემ.

ესპანეთის ჩემპიონმა „დეპორტივომ“ „მალიორკადან“ ფორვარდი დიეგო ტრისტანი შეიძინა და მასთან რვათვიანი კონტრაქტი გააფორმა. „მიხარია, „დეპორტივოში“ რომ ჩავირიცხე, ეს ჩემთვის წინგადადგმული ნაბიჯია“ — განაცხადა თავდამსხმელმა, რომელმაც წინა სეზონში ესპანეთის ჩემპიონატში 12 გოლი გაიტანა. მისი შეძენა ადრე მადრიდის „რეალსაც“ სურდა, მაგრამ სამეფო კლუბის პრეზიდენტად ლორენსო სანსი აღარ აირჩიეს და შეთანხმებაც ჩაიშალა. „დეპორტივომ“ სეზონის დაწყებამდე უკვე რვა ახალი ფეხბურთელი შეიძინა, ყველაზე ძვირად კი ბრაზილიელი ფლავიო კონსეისაო გაყიდა. იგი „რეალმა“ 22 მილიონ დოლარად გადაიბირა.

ინგლისის პრემიერლიგის ახალწვეულმა „მანჩესტერ სიტიმ“, ბოლოს და ბოლოს, შეძლო ფორვარდის პაულო ვანჩოპეს გადაბირება და კოსტარიკელის სანაცვლოდ „ვესტ ჰემს“ 3,65 მილიონი გირვანქა გადაუხადა, რაც „სიტისთვის“ სარეკორდო თანხაა. აქამდე კლუბში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ლი ბრედბერი გახლდათ. იგი „სიტიმ“ 1997 წელს „პორტსმუთიდან“ 3 მილიონ გირვანქად შეიძინა. „ვანჩოპე მალე სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კლუბთან ერთად ვარჯიშს შეუდგება“ — განაცხადა მანჩესტერული გუნდის პრესატაშემ. პაულომ წინა სეზონში „ვესტ ჰემის“ შემადგენლობაში 12 გოლი გაიტანა, ადრე კი „დერბი ქაუნთიში“ თამაშობდა.

იტალიის სერია A-ში პირველი ჩინელი ითამაშებს. მა მინგუ „პერუჯამ“ გადაიბირა და 30 წლის ფეხბურთელთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, სანაცვლოდ კი 300 ათასი დოლარი გადაიხადა. „მა იტალიაში მალე ჩემოვა და კლუბთან ერთად ვარჯიშს დაიწყებს“ — განაცხადა „პერუჯას“ პრესატაშემ.

არგენტინელი მცველის, რობერტო ფაბიან აიალას შეძენის სურვილი „ვალენსიამ“ გამოთქვა. ექტორ რაულ კუპერს სურს, თანამემამულე „მილანიდან“ ესპანურ კლუბში გადაიბიროს. სააგენტოების ცნობით, „ვალენსია“ ყაბულსაა, 27 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 4,8 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. აიალა „მილანში“ „ნაპოლიდან“ ჩაირიცხა. იგი გუნდის ძირითად შემადგენლობაში არცთუ ხშირად ხვდებოდა და „მილანიდან“ წასვლა განიზრახა. არგენტინელის შეძენის სურვილი ამას წინათ მადრიდის „რეალმაც“ გამოთქვა.

არგენტინელი ფორვარდი არიელ ორტეგა, შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და „რივერ პლეიტში“ გააგრძელოს თამაში. სააგენტოები იუწყებიან, რომ ფეხბურთელი „პარმაში“ არც ისე ბედნიერია. აღსანიშნავია, რომ პროფესიული კარიერა ორტეგამ სწორედ „რივერ პლეიტში“ დაიწყო. ევროპელმა სელექციონერებმა იგი შეამჩნიეს და 1996 წელს არგენტინელი საბოლოოდ „ვალენსიამ“ გადაიბირა. ესპანური კლუბიდან ორტეგა „სამპდორიაში“ გადაბარგდა, ხოლო შემდეგ „პარმაში“ აღმოჩნდა.

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა იენს იერემისმა ვარჯიშისაა ტრავმა მიიღო და დაახლოებით ორ თვეს ვერ ითამაშებს. „ბაიერნისთვის“ ეს მართლაც სერიოზული დანაკლისია, რადგან ბუნდესლიგის ახალი სეზონი კარსაა მომდგარი, მიუნხენელებს კი სხვა წამყვანი ფეხბურთელებიც აკლია. ტრავმირებულნი არიან შტეფან ეფენბერგი, ჯოვანი ელბერი, პაულო სერჟიო, თომას შტრუნცი და ბიქსენტ ლიზარაზუ. ბუნებრივია, ტრავმირებული იერემისი ვერც ნაკრებში ითამაშებს. იგი ესპანეთთან ამხანაგურ და საბერძნეთთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს გამოტოვებს. ეს უკანასკნელი 2 სექტემბერს ჩატარდება. 7 ოქტომბერს ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ იერემისის თამაში კი ჯერაც საეჭვოა.

რუსი ვალერი კარპინის შეძენა „ასტონ ვილას“ განუზრახავს. ნახევარმცველი ირწმუნება, რომ მას ბირმინგემიდან შეეხმიანენ. „ინგლისში გადასვლას მართლაც მთავაზობენ და მაღალ ანაზღაურებასაც მპირდებიან“ — განაცხადა „სელტას“ ლეგიონერმა, რომელიც ვიგოურ კლუბში 1997 წელს „ვალენსიიდან“ ჩაირიცხა და მის სანაცვლოდ „სელტამ“ 4,8 მილიონი დოლარი გადაიხადა. სააგენტოების ცნობით, „ასტონ ვილას“ თავკაცმა ჯონ გრეგორიმ კარპინის სელტელ თანაკლუბელ ბენი მაკკარტის დაადგა თვალი და არ არის გამორიცხული, სამხრეთაფრიკელი ფორვარდი გადაიბიროს.**

საფრანგეთის ახალდაწყებული ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ „ლანსს“ ენტონი სიბირსკი დაახლოებით ორ თვეს ვეღარ დეხმარება. ფეხბურთელმა, რომელიც კლუბში სეზონის დაწყებამდე ჩაირიცხა, სულ ახლახან ტრავმა მიიღო. არ არის გამორიცხული, ფრანგულმა კლუბმა იაპონელი ნახევარმცველი ჰიდეტოში ნაკატა გადაიბიროს. სააგენტოების ცნობით „ლანსის“ წარმომადგენლები „რომასთან“ მოლაპარაკებას აპირებენ. „გვაქვს შანსი, „რომადან“ ნაკატა გადმოვიბიროთ. ძალიან შევეცდებით“— განაცხადა „ლანსის“ თავკაცმა.

იტალიელი მცველი კრისტიან პანუჩი ლონდონის „ჩელსიმ“ მილანის „ინტერიდან“ ერთი წლით ინათხოვრა. ლონდონური კლუბი 27 წლის ფეხბურთელის აგენტთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და საწადელსაც მიაღწია. პანუჩის ხელში ჩაგდება „რომას“ თავკაც ფაბიო კაპელოსაც სურდა.

ესპანური პრესის ცნობით, „ბარსელონამ“ ფრანგ ფორვარდ ტიერი ანრის დაადგა თვალი და თანახმაა, „არსენალს“ ევროპის ჩემპიონის სანაცვლოდ 33 მილიონი დოლარი გადაუხადოს. შეგახსენებთ, რომ „არსენალიდან“ „ბარსელონაში“ ცოტა ხნის წინ ორი ფეხბურთელი გადავიდა, კატალონიური კლუბის მაისურა ჰოლანდიელმა მარკ ოვერმარსმა და ფრანგმა ემანუელ პეტიმ მოირგეს. არ არის გამორიცხული მათ გზას მალე ტიერი ანრიც დაადგეს.

ბოკშიჩი რობსონთან ტისსაიდში

ერთ დროს გზა და ბოკშიჩი „ლაციოში“ ერთად თამაშობდნენ

ოქროს გალიიდან ტისსაიდში

ბრაიან რობსონმა თავისას მიაღწია და „მიდლსბროში“ მორიგი შებერებული ვარსკვლავი ჩაიყვანა — 30 წლის ალენ ბოკშიჩმა გუშინწინ ტისსაიდურ კლუბთან კონტრაქტზე ხელი მოაწერა და ბრიტანეთში მუშაობის უფლებაც მიიღო.

„ერთი სული მქონდა, როდის წამოვიდოდი რომიდან — განაცხადა 30 წლის ხორვატმა, ვისაც „მარსელთან“, „იუვენტუსთან“ და „ლაციოსთან“ ერთად მრავალი ჯილდო მოუგია, წარმატებების გაგრძელებას კი „მიდლსბროში“ აპირებს — „როცა რობსონი შეგეხმიანა, მაშინვე პოლ გეასქოინს დავურეკე და რჩევა დავეკითხე. მე და გაზა ადრე „ლაციოში“ ერთად ვთამაშობდით და მას მერე კარგი მეგობრები ვართ“.

გაზასაც ურჩევია გადასვლა, ოღონდ... „ევერტონში“. „არა, „მიდლბროზე“ ცუდი არაფერი დასცდენია, კარგი გუნდი და ჩინებული ვითარებაო, მაგრამ, რამდენი ხანია, ერთად არ გვითამაშია და ეგებ აქ ჩამოსვლა ამჯობინოო — ასე მითხრა“ — ამბობს ბოკშიჩი.

მერე ხორვატი თანაგუნდელმა, ფაბრიციო რავანელიმაც შეაგულიანა (ესეც ექს-მიდლსბროელია) და საქმეც გაიჩარხა.

„პრემიერლიგაში თამაში, კარგა ხანია, მსურდა. ვთვლი, რომ აქ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჩემპიონატია. სამი წელია, იგორ შტიმაცი აქეთ მექაჩება, დავორ შუკერი კი უბრალოდ შეყვარებულია ინგლისზე. თან, იტალიაში ყველაფერი ყელში ამომივიდა. ოქროს გალიაა ეს სერია A — კი ბატონო, უმაღლესი დონის ფეხბურთია, მაგრამ ფსიქოლოგიური დატვირთვაც არანორმალურად დიდია: დილას, შუადღეს თუ საღამოს ყველა შენზე ჭორაობს, ამას კი ბევრი ვერ გაუძლებს“ — ეპრანჭება ბოკშიჩი ინგლისელ ჟურნალისტებს.

სანამ ახალწვეული პირად პრობლემებს აგვარებს, ბრაიან რობსონი და „მიდლსბრო“ ესპანეთში იმყოფებიან შეკრებაზე და კვირას მადრიდის „რეალთან“ გავარჯიშებას აპირებენ. „ალენი ინდივიდუალურად მოემზადება და იმედი მაქვს, „ქოვენთრისთან“ პირველივე შეხვედრაში ითამაშებს. გეთანხმებით, რომ ბოლო დროს მას ბევრი გოლი არ გაუტანია, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს. იტალიაში მცველები ზომაზე მეტად ცინიკურები არიან, პრემიერლიგაში კი უხეშობა გაცილებით ნაკლებია. ამიტომ მჯერა, რომ ბოკშიჩი ჩვენთან მეტად გაიხსნება და ბომბარდირული ალღოც მალე დაუბრუნდება“ — იმედოვნებს „მიდლსბროს“ მწვრთნელი, ვისაც ჯერჯერობით, არც სტივ მაკმანამანის გადაბირების იმედი დაუკარგავს.

გიგა კოტბახიძე

ინგლისი

კუნძულებს შორის

ზემ ძველ „უემბლიზე“ ბოლო „ჩარითი შილდია“ — ჩვენი დროით საღამოს რვა საათზე ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ თასის მფლობელ „ჩელსის“ დაუპირისპირდება. გუშინ ეს ორივე გუნდი სამშობლოს დაუბრუნდა.

ლონდონელებმა ერთი კვირა მეზობელ ჰოლანდიაში დაჰყვეს და წვრთნათა შორის ორჯერ ამხანაგურადაც ითამაშეს. ერთ-ერთი სამოყვარულო გუნდის 11:0 დამარცხების შემდეგ „ჩელსი“ მასპინძელთა ვიცე-ჩემპიონ „ჰერენვენს“ შეხვდა და 3:1 მოუგო.

სტუმრები პირველ ტაიმში ახალწვეულმა მარიო სტანიჩმა დააწინაურა ზუსტი თაურით, თუმცა 57-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. მოგვიანებით ჰასელბაინკისა და ფლოს მაგივრად შესულმა ძოლამ და გუდიონსენმა უფრო მძაფრად შეუტიეს და შედეგად „ლურჯებმა“ კიდევ ორი გოლი გაიტანეს: ჯერ ძოლამ შეაგდო თანამემამულე ამბროზეტის პასით, მერე კი — თავად ამბროზეტიმ, ვინც, როგორც ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, ჩინებულ ფორმაშია და წლეულს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას იმსახურებს. აღსანიშნავი კიდევ ისაა, რომ „ჰერენვენთან“ შეხვედრაში „ჩელსის“ დაუბრუნდა გრემ ლე სო, რომელსაც შარშანდელი მძიმე ტრავმის გამო კარგა ხანი არ უთამაშია.

ლონდონელთა მეტოქე კი ბრიტანეთის კუნძულიდან უფრო შორს, კუნძულ მალტაზე იმყოფებოდა და საწვრთნელი შეკრება იქაურ ჩემპიონ „ბირკირკარასთან“ შეხვედრით დაასრულა. გუშინწინდელ მატჩს 13 ათასი კაცი დაესწრო, რომელთა უმრავლესობაც ადგილობრივი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი გულშემატკივართა კლუბის წევრი იყო.

ცხადია, ყურადღების ცენტრში, როგორც ყველგან, დევიდ ბექემი აღმოჩნდა. ბურთთან მის ყოველ შეხებას მაყურებელი ყიჟინით ხვდებოდა და ბექემმაც მალტელ თაყვანისმცემლებს იმედი არ გაუცრუა — მე-18 წუთზე ფრანგი სილვესტრის 40 მეტრიანი ჰასი მიიღო, მასპინძელთა მეკარე ჩამოიცილა და ანგარიში გახსნა.

დანარჩენი გოლები მეორე ტაიმში გავიდა. დაწყებიდან ორ წუთში დუაიტ იორკის თაური აღმოჩნდა ზუსტი, მერე ტრინიდადელმა ნორვეგიელ სოლსკიაერს გაატანინა. ამის ტყუპისცალი კომბინაცია 74-ე წუთზეც კარის აღებით დამთავრდა, თუმცა მანამდე პოლ სქოულზსაც ჰქონდა გატანილი, თანაც მატჩის ულამაზესი გოლი — შორეული დარტყმით ცხრიანში. 79-ე წუთზე ბრინკატმა თავმოყვარეობისა შეაგდო და სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს კმაყოფილი დაშორდა — 1:5.

ოთხშაბათსვე გამართული სხვა საწვრთნელი მატჩებიდან კიდევ ორს გამოვყოფთ: „ვესტ ჰემმა“ თანაქალაქელი „არსენალიდან“ შეძენილი ხორვატი დავორ შუკერის გოლით გახსნა ანგარიში ქვედალიგელ „რაშდენ ენდ დიმონდსთან“. ამას პაოლო დი კანიოს ჰეთთრიქი მოჰყვა და პრემიერლიგელმა 4:2 იმარჯვა. შუკერის ყოფილმა კლუბმა „არსენალმა“ კი სტუმრად გასულ შაბათს გიორგი ნამსაძის „დანდის“ მიერ დამარცხებულ „დანფერმლაინს“ მოუგო. არსენ ვენგერი ტიერი ანრიმ (მე-7 წუთზე), პატრიკ ლიუნგბერგმა (9) და ნვანკო კანუმ (32) გაახარეს.

და ბოლოს, ევროპული ტურნედან დაბრუნდა გიო ქინქლაძის „დერბი ქაუნთიც“. ბელგიურ „სენტ ტრუიდენთან“ ფრის შემდეგ „დერბი“ 1:2 დამარცხდა ჰოლანდიურ „სიტარდთან“, მერე კი ორჯერ მოიგო — სამოყვარულო „ნაიკერკთან“ 6:1, „დენ ჰაადთან“ კი 2:0. ამ ბოლო მატჩში ორივე გოლი ბრანკო შტრუპარმა გაიტანა.

გიგა კოტბახიძე

ბირკირკარა — მანჩესტერ იუნაიტედი 1:5. წამში ბექემი ანგარიშს გახსნის

მეგობრული რჩევა დევიდს

„ტედი გაფრთხილებთ, ინგლისში დარჩენა მავნებელია თქვენი კარიერისთვის“ — ასეთ განცხადებას, ალბათ, ვერსაცდ მოჰკრავთ თვალს, მაგრამ დაახლოებით ასე ჟღერს ტედი შერინგემის მოწოდება მისი თანაგუნდელისა და მეგობრის, დევიდ ბექემისადმი. მოკლედ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი იმავე გუნდის ნახევარმცველს მეგობრულად ურჩევს, ბრიტანეთი დატოვოს და სათამაშოდ კონტინენტზე გადავიდეს, სადაც დევიდი პროფესიულ თვისებებს გაიუმჯობესებს და უკეთესი ფეხბურთელი დადგება. „მიბაძე რობი კინსა და სტივ მაკმანამანს, პრემიერლიგაში თამაშს ორივემ სხვა ევროპულ ლიგაში გადასვლა ამჯობინა. რობი ახლა „ინტერშია“, სტივი კი მადრიდის „რეალში“ — არწმუნებს ტედი დევიდს.

„ვგონებ, გაცილებით უკეთესი იქნება, თუ დევიდ ბექემის სტილის ფეხბურთელი იტალიაში ან ესპანეთში ითამაშებს და იქ გამოცდილებას შეიძენს — ამბობს მრავალნაცადი შერინგემი — სხვა ევროპულ კლუბში გატარებული წლების შემდეგ უკან დაბრუნებული მთელ თავის ცოდნას ახალგაზრდა მოთამაშეებს გაუზიარებს. ვიმეორებ, მისი მომავალი კარიერისთვის ასე ავჯობებს, თორემ, მე, როგორც იუნაიტედელს და დევიდის მეგობარს, სულაც არ მსურს მასთან განშორება“.

დევიდი ახლა მსოფლიოში უძლიერეს ჩამწოდებლად ითვლება, იგი პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ბექემის სახელს გამუდმებით წარმოთქვამენ მისი მსურველი ევროპული გრანდების პრეზიდენტები. ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, რომ ინგლისელის შესაძენად „მილანი“ და „ბარსელონა“ იბრძვიან. ესენი ყველაზე მეტად, თორემ რა გამოლევს კლუბებს, რომელთაც ბექემის ხელში ჩაგდება სურთ.

მოკლედ, ასეა თუ ისე, დევიდი ახლა კვლავ „იუნაიტედშია“ და ახალი სეზონის დაწყებას იქ აპირებს. ხოლო თუ შერინგემის რჩევას გაითვალისწინებს...

„შენ თვითონ რატომ არ წახვედი ინგლისიდან, ამას წინათ ლისაბონის „სპორტინგი“ რომ გეპატიჟებოდა და ხელსაყრელი შემოთავაზებითაც მოგმართა?“ — დაინტერესდნენ და ჰკითხეს შერინგემს.

„სადაცაა კარიერას დავასრულებ. არ მინდა, ოჯახს მოვშორდე, მერე ჩემს შვილს, ჩარლის ხშირად ვეღარ ვნახავ. ამიტომ პორტუგალიაში ცხოვრება შეიძლება გამოჭირდეს“ — უპასუხა 34 წლის ფორვარდმა.

ნიკა ფუტკარაძე

გარდაიცვალა ვიტალი სტარუხინი

ოთხშაბათს, დონეცკის ცენტრალურ საავადმყოფოში 52 წლისა ფილტვების ანთების შედეგად გარდაიცვალა 70-იანი წლების დონეცკის „შახტიორის“ ვარსკვლავი ვიტალი სტარუხინი.

დაახლოებით 20-25 წლის წინათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მისი დონის თავდამსხმელი სულ რამდენიმე თუ მოიძებნებოდა. განსაკუთრებით კარგად თამაშობდა თავით და გულშემატკივრები ლამის ლეგენდებს თხზავდნენ. სტარუხინს მაშინდელ თბილისშიც ერთობ აფასებდნენ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში სტარუხინმა ასზე მეტი გოლი გაიტანა და გრიგორი ფედოტოვის ასიანთა კლუბის წევრიც იყო. 1979 წელს 26 ბურთი გაიტანა და საბჭოეთის პირველობის საუკეთესო მეგოლე გახდა. ამავე წელს სტარუხინი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. 1975 და 79 წლებში ჩემპიონატის ვერცხლის, ხოლო 1978-ში ბრინჯაოს მედლებს ფლობდა.

1980 წელს სტარუხინის დიდებული თამაშის წყალობით დონეცკელებმა ქვეყნის თასი მოიპოვეს. ფინალში კი თბილისის „დინამო“ დაამარცხეს 2:1.

ნიჭიერ ფორვარდს რაღაც უიღბლობა დაჰყვებოდა ყოველთვის. ფეხბურთს მაშინ დაანება თავი, როცა ჩინებულ ფორმაში იყო. მიზეზი კი ერთი ჩინოვნიკის ახირება გახლდათ — სტარუხინს პატრიოტიზმი აკლიაო...

ბოლო წლებში სოფელში ცხოვრობდა და პურის ფულს რაიონული ჩემპიონატის მატჩების ინსპექტირებით შოულობდა.

საინტერესოა, რომ სტარუხინი „შახტარი“ — „სლავიას“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩამდე ოთხი საათით ადრე აღესრულა. არადა, „შახტარის“ ფანატს, თურმე ფეხბურთის ნახვა ძალიან უნდოდა...

ამხანაგური მატჩები

16 აგვისტო

შვეიცარია — საბერძნეთი

შვეიცარია:

მეკარეები: მარკო პასკოლო (ციურიხი), პასკალ ცუბერბიულერი (ბაიერი, ლევერკუზენი, გერმანია);

მცველები: სტეფან ენჩოსი (ლივერპული, ინგლისი), სებასტიან ჟენერე (სერვეტი), ლუდოვიკ მანინი (ლუგანო), ჯუზეპე მაცარელი (სენტ გალენი), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), რაფაელ ვიკი (ვერდერი, გერმანია), მურატ იაკინი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია);

ნახევარმცველები: პატრიკ ველმანი (ციურიხი), რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), მარიო კანტალუპი (ბაზელი), ალექსანდრე კომი ზეტი (ოსერი, საფრანგეთი), ანტონიო ესპოზიტო (გრასჰოპერი), ანდრეს გერბერი (გრასჰოპერი), ჩირიაკო სფორცა (ბაიერნი, მიუნხენი, გერმანია), იოჰან ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია);

თავდამსხმელები: ალექსანდრე რეი (სერვეტი), დავიდ სესა (ლეჩე, იტალია), კუბილაი თურქილმაზი (ბრეშა, იტალია), ჰაკან იაკინი (გრასჰოპერი)

ფარერები — დანია

დანია:

მეკარეები: პიტერ შმაიხელი, ტომას სორენსენი;

მცველები: რენე ჰენრიკსენი, იან ჰაინცე, თომას ჰელვეგი, თომას გრავესენი, კლაუს ტომსენი, პერ ფრანდსენი;

ნახევარმცველები: ბიარნე გოლდბეკი, ალან ნილსენი, მორტენ ბისგაარდი, კლაუს იენსენი, მიქაელ იოჰანსენი, ბრაიან სტენ ნილსენი;

თავდამსხმელები: დენის რომედალი, ჰენრიკ პედერსენი, იონ დალ ტომასონი, ებე სანდი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. I-ლი ტური

	11 აგვისტო			
001	დორტმუნდი-ჰანზა	1,5	3,5	6,0
	12 აგვისტო			
002	ვერდერი-კოტბუსი	1,4	3,8	7,0
003	ვერდერი-კოტბუსი 0:1	2,0	3,0	2,4
004	ჰამბურგი-მიუნხენ 1860	1,9	2,9	4,0
005	კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი	1,5	3,5	6,0
006	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1,4	3,8	7,0
007	ლევერკუზენი-ვოლფსბ. 0:1	2,0	3,0	2,4
008	ფრაიბურგი-შტუტგარტი	2,5	3,0	2,5
009	ბაიერნი-ჰერტა	1,3	4,4	8,0
010	ბაიერნი-ჰერტა 0:1	1,8	3,3	2,8
	13 აგვისტო			
011	აინტრახტი-უნტერჰახინგი	1,7	3,0	5,0
012	შალკე-კიოლნი	1,7	3,3	4,2

გერმანია. II ბუნდესლიგა. I-ლი ტური

	11 აგვისტო			
013	კიკერსი-ობერჰაუზენი	2,1	2,9	3,4
014	ჰანოვერი-ნიურნბერგი	2,4	3,0	2,7
	12 აგვისტო			
015	ალენი-ზანქტ პაული 18.00	2,4	3,0	2,7
016	მიონხენგლადბ.-ზაარბრიუკენი 18.00	1,35	4,0	7,5
017	მიონხენგლადბ.-ზაარბრ. 0:1	1,9	3,2	2,6
	13 აგვისტო			
018	არმინია-ოსნაბრუკი 18.00	1,35	4,0	7,5
019	არმინია-ოსნაბრუკი 0:1	1,9	3,2	2,6
020	როიტლინგენი-მაინცი 18.00	2,4	3,0	2,7
021	ვალდჰოფი-ალემანია 18.00	2,0	2,9	3,6
022	ფიურტი-ქემნიცი 18.00	1,8	2,8	4,7
	14 აგვისტო			
023	დუისბურგი-ულმი	1,9	3,0	3,8

ინგლისი. I დივიზიონი. I-ლი ტური

	12 აგვისტო			
024	ბარნსლი-ნორვიჩი	1,7	3,1	4,7
025	ბლექბერნი-კრისტალ პალასი	1,5	3,6	5,6
026	ბოლტონი-ბარნლი	1,35	4,0	7,5
027	ბოლტონი-ბარნლი 0:1	1,9	3,2	2,6
028	ფულემი-ქრიუ	1,4	3,8	7,0
029	ფულემი-ქრიუ 0:1	1,9	3,4	2,4
030	ჯილინგემი-სტოკპორტი	2,3	3,1	2,8
031	გრიმსბი-პრესტონი	2,1	3,0	3,3
032	ჰადერსფილდი-უოტფორდი	2,3	3,0	2,9
033	ნოტინგემი-ვესტ ბრომვიჩი	1,7	3,1	4,7
034	ქუინზ პარკი-ბირმინგემი	2,4	3,0	2,7
035	შეფილდი-პორტსმუთი	1,9	2,9	4,0
036	უიმბლდონი-ტრანმერი	1,6	3,4	5,0
	13 აგვისტო			
037	ვულვერჰემპტონი-უენსდი	2,3	2,9	3,0

ინგლისი. II დივიზიონი. I-ლი ტური

	12 აგვისტო			
038	როვერსი-ბორნმუთი	1,5	3,6	5,6
039	კემბრიჯი-ბერი	2,3	3,0	2,9
040	ლუტონი-ნოტსი	2,1	3,0	3,3
041	მილუოლი-რედინგი	1,7	3,1	4,7
042	ნორთჰემპტონი-ბრენტფორდი	2,0	3,1	3,4
043	ოლდემი-პორტ ვეილი	2,3	3,1	2,8
044	ოქსფორდი-პიტერბრო	2,0	3,2	3,3
045	როტერჰემი-უოლსოლი	2,4	3,1	2,6
046	სტოკი-უიკომბი	1,45	3,6	6,5
047	სტოკი-უიკომბი 0:1	2,0	3,2	2,3
048	სუონსი-უიგანი	2,8	3,1	2,3
049	სუინდონი-კოლჩესტერი	1,5	3,8	5,3
050	რექსემი-ბრისტოლი	2,4	3,0	2,7

ინგლისი. III დივიზიონი. I-ლი ტური

	12 აგვისტო			
051	ბარნეტი-შრიუსბერი	1,45	3,6	6,5
052	ბარნეტი-შრიუსბერი 0:1	2,0	3,2	2,3
053	ბლეკპული-ჰალი	1,7	3,1	4,7
054	კარლაისლი-ჰალიფაქსი	2,3	3,1	2,8
055	ჩელტენემი-მენსფილდი	1,7	3,1	4,7
056	ჩესტერფილდი-იორკი	1,7	3,1	4,7
057	ექსეტერი-კარდიფი	2,5	3,0	2,5
058	კიდერმინსტერი-ტორკი	2,3	3,0	2,9
059	ლინკოლნი-ჰარტლპული	2,3	3,1	2,8
060	მაკლსფილდი-სკანთორპი	2,3	3,0	2,9
061	პლიმუთი-ლეიტონი	1,55	3,5	5,3
062	როჩდეილი-დარლინგტონი	2,4	3,0	2,7
063	საუთენდი-ბრაიტონი	2,3	3,0	2,9

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-3 ტური

	12 აგვისტო			
064	ოსერი-ბასტია	1,8	2,9	4,4
065	ბორდო-ტრუა	1,35	4,0	7,5
066	ბორდო-ტრუა 0:1	1,9	3,2	2,6
067	გენგამი-ნანტი	2,4	2,8	2,9
068	ლილი-რენი	2,0	2,8	3,8
069	ლიონი-მეცი	1,55	3,2	6,5
070	სტრასბური-მონაკო	2,6	2,9	2,5
071	ტულუზი-სენტ ეტიენი	2,5	2,9	2,6
	13 აგვისტო			
072	პსჟ-სედანი	1,5	3,3	7,0
073	მარსელი-ლანსი	1,9	2,9	4,0

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-3 ტური

	12 აგვისტო			
074	აიაჩო-კანი	1,9	2,8	4,2
075	ბოვუა-გენიონი	2,6	2,8	2,6
076	კაენი-სოშო	2,5	2,9	2,6
077	შატორუ-ლე მანი	1,9	2,9	4,0
078	კრეტეი-ნანსი	3,0	2,9	2,3
079	ლავალი-ვასკეალი	1,6	3,0	6,5
080	ნიცა-ლორიანი	1,8	2,9	4,4
081	ნიმი-მონპელიე	3,2	2,9	2,2
082	ნიორი-ლე ავრი	2,9	2,8	2,4
	13 აგვისტო			
083	მარტიგი-ანეე	1,9	2,9	4,0

ბელგია. I-ლი ტური

	12 აგვისტო			
084	ბევერენი-შარლერუა	2,0	3,1	3,4
085	ლუვიე-ლოკერენი	2,5	3,2	2,4
086	მუსკრონი-ბეერსხოტი	1,9	3,1	3,6
087	მეხელენი-გენკი	2,5	3,2	2,4
088	ვესტერლო-ანტვერპენი	1,7	3,2	4,4
	13 აგვისტო			
089	ბრიუგე-გენტი	1,6	3,3	5,3
090	აალსტი-ლიერსი	2,4	3,1	2,6
091	ჰარელბეკე-სტანდარდი	2,7	3,0	2,4
092	სენტ ტრუიდენი-ანდერლეხტი	4,2	3,1	1,75

ჩეხეთი. მე-3 ტური

	11 აგვისტო			
093	ლიბერეცი-ბუდეიოვიცე	1,5	3,5	6,0
	12 აგვისტო			
094	სინოტი-ბლშანი	1,9	3,0	3,8
095	ბოჰემიანსი-სლავია	4,0	3,1	1,8
096	ბანიკი-იაბლონეცი	1,5	3,5	6,0
097	ტეპლიცე-ბრნო	1,6	3,3	5,3
098	სიგმა-პრუიბრამი	1,55	3,4	5,6
099	სპარტა-უიუკოვი	1,1	6,0	12,0
100	სპარტა-უიუკოვი 0:1	1,4	3,6	4,0
	13 აგვისტო			
101	პლზენი-დრნოვიცე	2,3	3,0	2,9

პოლონეთი. მე-4 ტური

	12 აგვისტო			
102	სტომილი-კატოვიცე	1,8	2,9	4,4
103	პოგონი-პლოცკი	1,6	3,3	5,3
104	ვიძევი-ლეგია	2,5	3,0	2,5
	13 აგვისტო			
105	გროცლინი-ზაგლებე	2,5	3,0	2,5
106	რაციონკოვი-ამიცა	2,8	2,9	2,4
107	ოდრა-რუხი	2,3	2,9	3,0
108	პოლონია-შლიონსკი	1,3	4,4	8,0
109	პოლონია-შლიონსკი 0:1	1,8	3,3	2,8
110	გურნიკი-ვისლა	3,1	3,0	2,2

შოტლანდია. მე-3 ტური

	12 აგვისტო			
111	დანდი იუნ.-მოზერუელი	2,1	2,9	3,4
112	დანფერმლაინი-სტ.ჯონსტონი	2,3	2,9	3,0
113	ჰიბერნიანი-დანდი	2,1	3,0	3,3
	13 აგვისტო			
114	აბერდინი-ჰართსი	2,3	3,0	2,9
115	სელტიკი-კილმარნოკი	1,25	5,0	9,0
116	სელტიკი-კილმარნოკი 0:1	1,7	3,2	3,2
117	სენტ მირენი-რეინჯერსი	7,0	3,8	1,4

თურქეთი. I-ლი ტური

	11 აგვისტო			
118	ქოჯაელი-ფენერბაჰჩე	4,0	2,9	1,9
	12 აგვისტო			
119	ბეშიქთაში-იოზგათი	1,1	6,0	12,0
120	ბეშიქთაში-იოზგათი 0:1	1,4	3,6	4,0
121	გენჩლერბირლიგი-რიზე	1,3	4,4	8,0
122	გენჩლერბირლიგი-რიზე 0:1	1,8	3,3	2,8
123	ბურსა-გაზიანთეფი	2,5	3,0	2,5
124	ერზურუმი-ტრაბზონი	3,5	3,0	2,0
	13 აგვისტო			
125	ისთანბული-ადანა	1,9	2,9	4,0
126	იეთფა-ანთალია	3,6	3,1	1,9
127	სამსუნი-ანკარაგიუჯიუ	1,65	3,2	5,0
128	დენიზლი-გალათასარაი	6,0	3,5	1,5

ავსტრია. მე-7 ტური

	12 აგვისტო			
129	ბრეგენცი-გრაცერი	2,5	3,0	2,5
130	ზალცბურგი-რიდი	1,9	2,8	4,2

131	ლინცერი-ადმირა	1,6	3,4	5,0
132	შტურმი-ტიროლი	1,8	3,0	4,2
	13 აგვისტო			
133	რაპიდი-აუსტრია	1,8	3,1	4,0
	შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-6 ტური			
	12 აგვისტო			
134	ლუცერნი-ივერდონი	1,8	2,9	4,4
135	ქსამაქსი-სენტ გალენი	2,9	3,0	2,3
136	სიონი-აარაუ	1,5	3,5	6,0
	13 აგვისტო			
137	ბაზელი-ლუგანო	1,75	3,0	4,4
138	გრასჰოპერი-სერვეტი	1,5	3,5	6,0
139	ლოზანა-ციურიხი	1,5	3,5	6,0
	შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-7 ტური			
	11 აგვისტო			
140	თუნი-იანგ ბოისი	2,0	2,9	3,6
	12 აგვისტო			
141	ლოკარნო-ვინთერტური	2,9	3,0	2,3
142	ბადენი-ვანგენი	1,6	3,2	5,6
143	დელემონი-სოლოთურნი	1,5	3,5	6,0
144	კარუჟი-კრინსი	1,6	3,3	5,3
145	ვილი-ბელინცონა	2,4	3,0	2,7
	დანია. მე-4 ტური			
	13 აგვისტო			
146	ოლბორგი-აკადემისკი 18.00	1,9	3,0	3,8
147	ორჰუსი-მიდტიულანდი 18.00	1,75	3,4	3,6
148	ჰადერსლევი-ჰერფიოლგე 18.00	2,9	3,2	2,2
149	ლიუნგბიუ-ოდენსე 18.00	1,7	3,5	3,8
150	ვიბორგი-კოპენჰაგენი 18.00	2,0	3,2	3,3
151	სილკებორგი-ბრიონდბიუ	2,3	3,3	2,6
	რუსეთი. 21-ე ტური			
	12 აგვისტო			
152	სპარტაკი-როტორი	1,25	5,0	9,0
153	სპარტაკი-როტორი 0:1	1,7	3,2	3,2
	13 აგვისტო			
154	ცსკა-ფაკელი	1,5	3,6	5,6
155	კრილია-ანჟი	2,5	3,0	2,5
156	ლოკომოტივი-ნ.ნოვგოროდი	1,1	6,0	12,0
157	ლოკომოტივი-ნ.ნოვგოროდი0:1	1,4	3,6	4,0
158	ურალანი-დინამო	3,8	3,0	1,9
159	ალანია-სატურნი	1,9	2,9	4,0
160	როსტსელმაში-ნერნომორეცი	2,4	2,9	2,8
161	ზენიტი-ტორპედო	2,4	2,8	2,9
	შვედეთი. მე-15 ტური			
	12 აგვისტო			
162	ფრიოლუნდა-გიოტებორგი	4,0	3,4	1,7
	13 აგვისტო			
163	აიკ-ჰელსინგბორგი	1,7	3,3	4,2
164	ელფსბორგი-გაის	1,5	3,5	6,0
165	ჰალმსტადი-სუნდსვალი	1,35	4,0	7,5
166	ჰალმსტადი-სუნდსვალი 0:1	1,9	3,2	2,6
167	ტრელებორგი-ნორნიოპინგი	2,3	3,0	2,9
168	იორგრიტე-ჰამარბი	1,9	2,9	4,0
	ნორვეგია. მე-19 ტური			
	12 აგვისტო			
169	ჰაუგესუნდი-რუსენბორგი 17.00	6,5	4,0	1,4
	13 აგვისტო			
170	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1,5	3,6	5,6
171	ლილესტრიომი-ტრომსიო	2,3	3,1	2,8
172	მოლდე-სტარტი	1,35	4,0	7,5
173	მოლდე-სტარტი 0:1	1,9	3,2	2,6
174	მოსი-ბრინი	1,7	3,3	4,2
175	სტაბეკი-ვოლერენგა	1,6	3,4	5,0
176	ვიკინგი-ოდ გრენლანდი	1,7	3,3	4,2
	იტალია. თასის 1-ლი ტური			
	13 აგვისტო			
177	ვიტერბეზე-კიევო	2,6	2,7	2,7
178	ალბანო-ბრეშელო	2,0	2,5	4,4
179	ასკოლი-ჩიტადელა	2,1	2,5	4,0
180	პესკარა-ვენეცია	2,4	2,8	2,9
181	აველინო-ატალანტა	4,0	2,9	1,9
182	ბრეშა-ტრევიზო	1,5	3,3	7,0
183	სავოია-სიენა	2,2	2,7	3,4
184	ჩეზენა-ტერნანა	2,2	2,7	3,4
185	კროტონე-უმპოლი	2,5	2,7	2,8
186	ჯენოა-ანკონა	1,5	3,3	7,0
187	მონცა-პიაჩენცა	2,5	2,7	2,8
188	პიზა-კოზენცა	2,5	2,7	2,8
189	რავენა-პისტოიეზე	1,7	2,9	5,3
190	სალერნიტანა-კალიარი	2,3	2,8	3,1
191	ვარეზე-ტორინო	3,8	2,8	2,0
192	ფერმანა-სამპდორია	3,8	2,8	2,0
	ინგლისი. სუპერთასი (უემბლიზე)			
	13 აგვისტო			
193	მანჩესტერი-ჩელსი 16.00	2,3	3,0	2,9
	პორტუგალია. სუპერთასი. I მატჩი			
	13 აგვისტო			
194	პორტუ-სპორტინგი	1,9	3,0	3,8
	ჰოლანდია. სუპერთასი			
	13 აგვისტო			
195	ეინდჰოვენი-როდა	1,65	3,3	4,7

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;

2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;

3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);

4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;

5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;

6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ვლადიმერ ბოისამ ვარჯიში განაახლა

საქართველოს ნაკრების და ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ფეხმტკივანმა ფორვარდმა ვლადიმერ ბოისამ რამდენიმე დღე დაისვენა და ვარჯიში განაახლა. ამ ხანში ბოისამ რამდენიმე ექიმს მიმართა, მაგრამ ზუსტი დიაგნოზი ვერცერთმა დაუსვა. ნემსებით მკურნალობის შემდეგ ვლადიმერი „ოლიმპიას“ დაუბრუნდა. მისი თქმით, ვარჯიშისას ფეხი აღარ აწუხებს, ხოლო ნავარჯიშევს ცოტაოდენ ტკივილს გრძნობს.

„ოლიმპია“ ამჟამად ლიუბლიანაში ვარჯიშობს და კვირას ათიოდე დღით სლოვენიის მთიანეთში მოაწყობს შეკრებას. მერე პოლონეთს ეწვევა საკონტროლო მატჩების სათამაშოდ. ბოისა ყველგან გაჰყვება „ოლიმპიას“, ხოლო აგვისტოს ბოლოს მწვრთნელ ზმაგო საგადინისგან შეიტყობს, მოხვდება თუ არა გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

ბოისას ამპლუაში, ფრთაზე, „ოლიმპიაში“ ამჟამად დიდი კონკურენციაა — ძირითად შემადგენლობაში აღგილს ექვსი კაცი ეცილება ერთმანეთს. აგვისტოს ბოლომდე ლიუბლიანელები რვა საკონტროლო მატჩს გამართავენ, რომელთა შემდეგაც გაირკვევა, ვის დატოვებენ და ვის გაანათხოვრებენ.

ჯენტრი კლიპერსს გაწვრთნის

ელვინ ჯენტრი

ცოტაც და „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ ახალი მწვრთნელი ეყოლება. უფრო სწორად, უკვე ჰყავს, მაგრამ პრესას და საზოგადოებას ოფიციალურად დღეს წარუდგე. ჰოდა, „კლიპერსიც“ ამ პროცედურის მერე იტყვის ოფიციალურად, რომ ელვინ ჯენტრი გუნდის მწვრთნელია.

ლოსანჯელესელებმა ექვსი თვის წინ დაითხოვეს კრის ფორდი და გუნდის დროებით მწვრთნელად მისი თანაშემწე ჯიმ ტოდი დანიშნეს. მაისში ტოდი ძველ ადგილს დაუბრუნდა, ხოლო „კლიპერსმა“ ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყო. კლუბი თითქოს შეუთანხმდა ცინცინატის უნივერსიტეტის მწვრთნელ ბობ ჰაგინსს და ოთხწლიანი მუშაობის სანაცვლოდ რვა მილიონი დოლარი შესთავაზა. გაირკვა, რომ ჰაგინსი მეტს ითხოვდა და გარიგებაც ჩაიშალა.

ამის შემდეგ „ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ ელვინ ჯენტრის დაადგა თვალი, რომელიც თითქმის უკვე დანიშნული იყო „სან ანტონიო სფურზის“ მწვრთნელის თანაშემწედ და წინა კვირაში ქალაქის გარეუბნებში საცხოვრებელი სახლის ძებნით იყო დაკავებული. ჯენტრი სასწრაფოდ გამოხმაურა „კლიპერსის“ წინადადებას, კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა და მოლაპარაკების შემდეგ მწვრთნელიც გახდა.

ჯენტრის სამწვრთნელო კარიერა 1988 წელს დაიწყო. იგი „ფილადელფია 76“-ის დღევანდელი მწვრთნელის, ლარი ბრაუნის თანაშემწე გახდა „სან ანტონიო სფურზში“. 1990-91 წლებში „კლიპერსის“ მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა, მერე კი „მაიამი ჰითში“ გადავიდა იმავე თანამდებობაზე. 1995 წელს ჯენტრიმ „მაიამის“ მწვრთნელის პოსტზე შეცვალა კევინ ლაფერი. ერთი სეზონის შემდეგ იგი „დეტროიტ პისტონზის“ მწვრთნელის თანაშემწედ წავიდა, 1998 წელს გუნდს სათავეში ჩაუდგა. ჯენტრიმ წინა სეზონში დატოვა „პისტონზი“ და „ატლანტა ჰოქსის“ მწვრთნელის თანაშემწე გახდა. ივნისში მან მიიღო „სან ანტონიო სფურზის“ შეთავაზება მწვრთნელის თანაშემწეობაზე, დათანხმდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ „კლიპერსის“ დამრიგებლად მოგვევლინა.

კლიპერსის ბოლო ათი მწვრთნელი

მწვრთნელი	სეზონი	თამაში	მოგება/წაგება	%
ჯიმ ტოდი	2000	36	4/32	12,8
კრის ფორდი	1999-2000	96	20/76	20,9
ბილ ფიტჩი	1994-1998	328	99/229	30,2
ბობ ვეისი	1993-1994	82	27/55	32,9
ლარი ბრაუნი	1992-1993	117	63/54	54,7
მაიკ შულერი	1990-1992	127	52/75	40,9
დონ კეისი	1988-1990	126	41/85	32,5
ჯინ შუ	1987-1989	120	27/93	32,4
დონ ჩეინი	1985-1987	185	53/132	28,6
ჯიმ ლაინემი	1983-1985	142	51/91	36,4

ევროპული ამბები

ესპანეთი

ჯანმრთელი საიკლი ბარსელონელი გახდა

რონი საიკლიმ ფეხი მოიტეხა და „ბარსელონას“ შეუერთდა

წარმოშობით ლიბანელმა ცენტრმა რონი საიკლიმ წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება. „ბარსელონამ“ იგი სრულიად ჯანმრთელად ცნო და ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. საიკლი ამ ხანში 1,7 მილიონ დოლარს მიიღებს. წინასწარი შეთანხმებით მისი წლიური ხელფასი 200 ათასი დოლარით ნაკლები უნდა ყოფილიყო.

საიკლი 35 წლისაა და აქამდე მხოლოდ ამერიკაში უთამაშია. სტუდენტობისას სირაკუზის უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა. 1988 წლის დრაფტში მე-9 ნომრად „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა“ აირჩია და ათი წელი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაატარა. „გოლდენ სტეიტის“ გარდა საიკლის უთამაშია „მაიამი ჰითში“, „ორლანდო მეჯიქში“ და „ნიუ ჯერსი ნეთსში“. ლიგას 1998-1999 წლების სეზონის შემდეგ გამოეთხოვა: ფეხის ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა და „ნიუ ჯერსიმ“ კონტრაქტი აღარ განუახლა.

საიკლის აყვანის შემდეგ „ბარსელონას“ ოთხი ცენტრი ჰყავს. აღსანიშნავია, რომ ოთხივეს სიმაღლე 210 სანტიმეტრზე მეტია: რობერტო დუენასი (220 სმ), ბერძენი ეფტიმიოს რენციასი (212 სმ), ჰოლანდიელი ფრანსისკო ელსონი (211 სმ) და ლიბანელი რონი საიკლი (211 სმ). სავარაუდოდ, გუნდიდან წავა ფრანსისკო ელსონი და მის სანაცვლოდ „ბარსელონა“ თავდამსხმელს იყიდის. კატალონიურ კლუბს სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი ლიტველი ფორვარდის, არტურას კარნიშოვასის შეძენა. ეს კალათბურთელი ბოლონიის „ფორტიტუდოს“ საკუთრებაა და ბარსელონელებს მის დასასაკუთრებლად ბლომად ფულის გაღება მოუწევთ. „ბარსელონა“ აგრეთვე ცდილობს იუგოსლავიელი ფორვარდის მილან გუროვიჩის გაყიდვას, მაგრამ ჯერ არაფერი გამოსდის. გუროვიჩის კონტრაქტი ძალიან ძვირადაა შეფასებული და მისი გამოსყიდვის რეალური მსურველი ჯერ არ ჩანს. არადა, გაისად გუროვიჩი თავისუფალი აგენტი ხდება და „ბარსელონადან“ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე შეეძლება წასვლა.

თავისუფალ აგენტთა გაზაფხული

9 აგვისტო

ინდიანა პეისერზი: შეინარჩუნა უკანახაზელი რეჯი მილერი.

მილერი ისევ ინდიანელია



რეჯი მილერი „ინდიანა პეისერზის“ ყველა დროის ლიდერია გუნდში გატარებული წლების, ჩატარებული მატჩების, ქულების, ჩაგდებული სამქულიანების და საჯარიმოების მიხედვით

უკანახაზელი რეჯი მილერი „ინდიანა პეისერზში“ დარჩა. მან და კლუბმა ცამეტწლიანი თანამშრომლობა გაახანგრძლივეს. ახალი კონტრაქტის პირობები ოფიციალურად არ გახმაურებულა, მაგრამ სარწმუნო წყაროები ამტკიცებენ, რომ მილერი „ინდიანაში“ კიდევ სამ სეზონს ითამაშებს და ამ ხნის განმავლობაში 36 მილიონ დოლარს მიიღებს. წინა წელს მილერის ხელფასი 9 მილიონი იყო, მომავალ სეზონში კი 14 მილიონი იქნება.

რეჯი მილერი „ინდიანა პეისერზის“ ყველა დროის უძლიერესი მოთამაშეა. იგი ბევრი მაჩვენებლითაა კლუბის ისტორიაში საუკეთესო. აქედან გამორჩეულია ბომბარდირობა (19792 ქულა), და ჩატარებული თამაშების რაოდენობა (1013). მილერი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლიდერიცაა: 4629 სამქულიანი ესროლა და 1867 ჩააგდო.

თავად კალათბურთელს ყველაზე მეტად კლუბში დიდხანს ყოფნა ეამაყება. სხვათა შორის, მილერი აქაც პირველია — 13 სეზონი „ინდიანაში“ არავის გაუტარებია. იგი ამბობს: „ძალიან მიხარია „პეისერზში“ დარჩენა. მეამაყება, რომ ჩემი კარიერა ერთ გუნდში დაიწყო, გრძელდება და დამთავრდება. ნებისმიერი მოთამაშე მოხარული იქნება, ამის საშუალება რომ ჰქონდეს. საბედნიეროდ, მე გამიმართლა და ერთ გუნდში ყოფნის საშუალება მომეცა“.

„ინდიანას“ პრეზიდენტი დონი უოლში კმაყოფილებას ვერ მალავს: „მას შემდეგ, რაც რეჯი ჩვენთან მოვიდა, იგი გუნდის უმთავრეს მოთამაშედ იქცა. ცამეტი წლის განმავლობაში მილერი გუნდის ყველა წარმატების სულისჩამდგმელი იყო. მას ყოველთვის მხოლოდ „ინდიანაში“ სურდა თამაში და მისი მოსაზრება კლუბმაც გაიზიარა“.

არადა, 13 წლის წინ, 1987 წლის დრაფტის მერე, „ინდიანას“ გულშემატკივრებმა უოლშს და მილერს ლამის ომი გამოუცხადეს. ფანებს სურდათ, რომ „პეისერზს“ დრაფტში აეყვანა სტივ ელფორდი, ძირძველი ინდიანაპოლისელი კალათბურთელი. უოლშმა კი მათ მოთხოვნას ყური არ ათხოვა და მე-11 ნომრად სრულიად უცნობი უკანახაზელი რეჯი მილერი დაისაკუთრა. ელფორდმა ოთხი უსახური სეზონი გაატარა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და ამჟამად აიოვას უნივერსიტეტის მწვრთნელია, ხოლო მილერი არათუ „ინდიანას“, არამედ მთლიანად ლიგის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს კალათბურთელად იქცა.

მილერი ამჟამად 35 წლისაა, მაგრამ „ინდიანას“ ხელმძღვანელებს მისი ასაკი დიდად არ ანაღვლებთ. უოლშის აზრით: „რეჯის ასაკი არ ეტყობა. წლევანდელ პლეი ოფში მისი თამაშის შემყურე ძნელად დაიჯერებდა, რომ იგი ვეტერანია. მილერი თამაშობს ან კარგად, ან უკეთესად“.

წინა სეზონში მილერმა რეგულარულ ჩემპიონატში მატჩში საშუალოდ 18,2 ქულა გააკეთა. ამაზე დაბალი მაჩვენებელი მას მხოლოდ 1988-89 წლების სეზონში ჰქონდა — საშუალოდ 16,0 ქულა. სამაგიეროდ რეჯიმ პლეი ოფში მოუმატა და იქ მისი საშუალო შედეგიანობა 24,0 ქულა გახლდათ. მილერი ოლიმპიური ჩემპიონიცაა — ამ წარმატებას ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების შემადგენლობაში ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადაზე მიაღწია. ორი წლით ადრე კი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. ხუთჯერ მიიღო მონაწილეობა „ოლ სტარზში“.

მილერი მეოთხე თავისუფალი აგენტია, რომელიც „ინდიანა პეისერზმა“ შეინარჩუნა. მანამდე კლუბმა კონტრაქტები განუახლა უკანახაზელ ჯალენ როუზს (შვიდ წელიწადში 93 მილიონი დოლარი), ფორვარდ ოსტინ კროშერს (შვიდ წელიწადში 51 მილიონი დოლარი) და ცენტრ სემ პერკინსს (ერთ წელიწადში 2,5 მილიონი დოლარი). ახლა „პეისერზის“ უმთავრეს ამოცანად უკანახაზელი მარკ ჯეკსონის და ცენტრ რიკ სმიტსის შენარჩუნება იქცა.

„ინდიანამ“ უკვე დაიწყო მოლაპარაკება ჯეკსონთან, რაც თავად დონი უოლშმაც დაადასტურა: „მარკს ჩვენი წინადადება შევთავაზეთ. არა მგონია, მას იმდენი გადავუხადოთ, რამდენსაც თავად ითხოვს, მაგრამ, ვფიქრობ, შეთანხმებას მოვახერხებთ“. თანაგუნდელს კეთილი სიტყვით შეეწია რეჯი მილერიც: „მარკი მეტად მნიშვნელოვანი კალათბურთელია. ძნელია მისებრ მაღალი დონის მოთამაშის პოვნა. ჯეკსონმა იცის თამაში და სამწუხარო იქნება, თუკი კლუბი მას ვერ შეინარჩუნებს“.

ჰოლანდიელი ცენტრის რიკ სმიტსის კონტრაქტის თაობაზე ჯერჯერობით არავინ არაფერს ამბობს. სმიტსს ჯერ ვერ გადაუწვეტია, გამოეთხოვოს თუ არა კალათბურთს. დონი უოლშმა აღნიშნა, რომ მან ჰოლანდიელს მოსაფიქრებლად აგვისტოს ბოლომდე მისცა დრო. გაჩნია რას გადაწყვეტს რიკი, ჩვენი შემდგომი მოქმედება მის პასუხზეა დამოკიდებულიო, დასძინა „ინდიანას“ პრეზიდენტმა.

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



ᲚᲣᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲛᲐᲠᲘ ᲠᲣᲘᲡᲡ ᲒᲐᲚᲐᲮᲐᲕᲡ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ სამგზის ჩემპიონი მძიმე წონაში, ევანდერ ჰოლიფილდი, შაბათს კვლავ გავა რინგზე. ჰოლიფილდი აპირებს მძიმე წონის ისტორიაში გახდეს პირველი მოკრივე, რომელმაც სამჯერ დაკარგა ტიტული და სამჯერვე დაიბრუნა იგი, ანუ ოთხგზის შემოირტყას ქამარი.

ასოციაციის (ვბა) გადაწყვეტილებით, ამ ვერსიის ვაკანტური ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლიათ ვბა-ს რეიტინგის №1 პრეტენდენტს ჯონ რუისს და №2-ს, თავად ჰოლიფილდს. ასოციაციის ჩემპიონის ქამარი ამ გაზაფხულზე სასამართლო წესით ჩამოერთვა მსოფლიოს უდავო ჩემპიონს, ბრიტ ლენოქს ლუისს. ლუისმა ფედერაციის (იბფ) ქამრის დაცვა და მაიკლ გრანტთან კრივი ამჯობინა ასოციაციის ქამრის დაცვას და რუისთან შერკინებას. ეს თითზე დაიხვია გაქნილმა დონ კინგმა, რომლისთვისაც ლუისს ზეპირი პირობა მიეცა, თუ ჩემპიონი შევიქენი უეჭველად შენი პრომოუტერობით ვიჩხუბებ ასოციაციის ქამრისთვისო. კინგმა სასამართლოში საქმე აღძრა და მოიგო კიდეც.

რუის — ჰოლიფილდის ბრძოლა ორი თვის წინათ უნდა გამართულიყო ლას ვეგასის ათიათასიან, ღია „სუზორზ პალასში“, მაგრამ ახლა ალაგი შეცვლილია. ახალი „სტრიპ-ჰოტელის“ შვიდიათასიანი დარბაზი, კაზინო „პარიზშია“ და ჩხუბიც იქ შედგება.

37 წლის ჰოლიფილდი ლამის 15-ფორიანი ფავორიტია 28 წლის რუისის წინააღმდეგ. ჰოლიფილდი კარიერის მე-20 საჩემპიონო ბრძოლაზე გადის, რუისს კი ჯერ არ ჰყოლია ხეირიანი მოწინააღმდეგე. რუისი 104 კილოს იწონის, ჰოლიფილდი ხუთით ნაკლებს.

სხვაფრივ კი ყველამ იცის — ამ ჩხუბის მომგები ვერ იქნება ნაღდი ჩემპიონი. ნაღდი ჩემპიონი ლონდონშია და დევიდ ტუასთან საბრძოლველად ემზადება.

ევანდერ ჰოლიფილდი, დონ კინგი და ჯონ რუისი



მუშტის გაქნევა ლეილას მამამ ასწავლა

ᲛᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

30 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲠᲔᲖᲔᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲢᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲜᲔᲜ

ᲐᲘ, შოუს წესები. ლეილა მუჰამედის ასული ალი და ჯექლინ ჯოს ასული ფრეზერ-ლაიდი ერთმანეთს შეხვდებიან რინგზე, მათი სახელგანთქმული მამების პირველი შებრძოლებიდან 30 წლის თავზე.

ლეილამ ორი წლის წინათ გადაწყვიტა მოკრივედ გახდომა, ჯექლინმა, მისი წამხედურობით — შარშან. კრივის საქმოსნებისთვის კი უკეთესი მასალა არ არსებობს.

თავიდან ფიქრობდნენ, ამ ქალებს 30 სექტემბერს შევახვედრებთ ერთმანეთსო — ჯოსა და მუჰამედის დაუვიწყარი მანილური ჩხუბის (თრილლაინ მანილა) მეოთხედსაუკუნოვან იუბილეზე. მაგრამ მერე შეთანხმდნენ, რომ ბრძოლა შედგება 2001 წლის 10 მარტს — ალი-ფრეზერის 15-რაუნდიანი შეყრის ზუსტად 30 წლისა და 2 დღის თავზე. მაშინ, „მედისონ სკვერ გარდენში“ ფრეზერმა იმარჯვა, მანილაში კი ალიმ.

ქალები 2,5-2,5 მილიონს მიიღებენ, ზუსტად იმდენს, მამებმა რომ მიიღეს 30 წლის წინათ.

ორივე წაუგებელია. ლეილას 7 ბრძოლა მოუგია, ჯექლინს — 4.

ᲜᲝᲠᲛᲐᲜᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲛ ᲐᲬᲧᲘᲜᲐ

ᲪᲘᲜᲪᲘᲜᲐᲢᲘ, ᲝᲰᲐᲘᲝ. „ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘ.“ ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 2 950 ᲐᲗᲐᲡᲘ $

ოჰაიოს შტატში მიმდინარე ტურნირის მეორე წრე ნაირგვარი ფათერაკით გამოირჩა. ანდრე აგასის ამ ცოტა ხნის წინ ავარიისას ნატკენმა ზურგმა შეახსენა თავი და ცინცინატიდან აიბარგა, გუსტავო კუერტენს მზეზე დაჰკრა, ხოლო სულისშემხუთველი სიცხის შემდეგ მოვარდნილმა თავსხმამ ჩოგბურთელებიც და მაყურებლებიც კარგა ხნით თავშესაფრისკენ გააქცია. აქვე შევნიშნავთ, რომ სწორედ ბუნების მღელვარებამ გამოასწორა კუერტენის საქმე — თამაშის განახლების შემდეგ მზის დაკვრაზე ლაპარაკი აღარ იყო, ბრაზილიელის ვაგლახად მოშლილ კუჭსაც ექიმებმა ხეირიანად უწამლეს და რაღა ბევრი გავაგრძელოთ, გადაწყვეტილი თამაშის დასკვნითი ნაწილი გუგამ ბევრად უკეთ ჩაატარა. ხოლო რახან მისი მეტოქე ვინმე საჩოგბურთო მონსტრი კი არა, იტალიელი ჯანლუკა პოცი იყო, საბოლოო გამარჯვებაც გამოჭედა — 7:5, 6:3. გუგას კრიზისი 5:4-ზე დაეწყო, ჩოგბურთელმა კორტი მიატოვა და ვისაც ჯერ არს, განუცხადა, სუნთქვა მეკვრის და გული მერევაო. სტიქიაც მაშინ ბობოქრობდა, როცა ბრაზილიელს წამლობდნენ. „წვიმის დროს აშკარად გამოკეთდი — თქვა კუერტენმა პრესკონფერენციაზე — მაგრამ მაინც არათანაბრად ვთამაშობდი, ვგრძნობდი, რომ ბურთების დევნა ძლიერ მიჭირდა.“

ანდრე აგასისა და ფერნანდო ვისენტეს თამაში ბევრადაც ბევრად ადრე მორჩა. ამერიკელმა პირველი სეტი დამაჯერებლად მოიგო, მომდევნო კი დამაჯერებლად წააგო, ისევე როგორც ბოლო სეტის თავისი პირველი გეიმი, რის შედეგადაც კუერტენივით კორტის ექიმს მიმართა. რამდენიმეწუთიანი ბუტბუტის შემდეგ, ექიმმა აგასის მსაჯისკენ მსუბუქად უბიძგა და მანაც თამაშის მსაჯულს განუცხადა, ტრავმის გამო გაგრძელებაზე უარს ამბობსო. აგასის სახგზეც შეეტყო, რომ ნავარიებმა ზურგმა თავი კვლავ შეახსენა და რა ეპრესკონფერენციებოდა, მაგრამ წესს მისდია და მალე მასმედიის პირისპირ აღმოჩნდა. „ტკივილი მეორე სეტში ვიგრძენი — თქვა აგასიმ — მესამის დასაწყისში უკვე ხელის აწევა მიჭირდა. ცუდია, რომ ტურნირი მივატოვე, მაგრამ არ მინერვიულია. ახლა მთავარია, ამერიკის ღია პირველობისთვის როგორმე მოვრჩე.“ შემდეგ აგასიმ ტრიბუნაზე მოწყენით მჯდარი შტეფი გრაფი იახლა და საზოგადოებას დაემშვიდობა.

მარტინა ჰინგისი

ანდრე აგასი

მეორე წრეში პიტ სამპრასი უჩინო თვისტომს, ტეილორ დენტს შეხვდა და გამარჯვებისთვის დიდი ჯაფა გასწია. 19 წლის დენტი სრულიად უკომპლექსოდ ეთამაშა სახელიან მეტოქეს და ორი პარტია მხოლოდ ტაი-ბრეიკზე დათმო. სამპრასმა ახალბედა თამაშის შემდეგ ერთობ შეაქო. „პისტოლ პიტს“ განსაკუთრებით მისი მოწოდებები მოსწონებია. „ამ ყმაწვილს მეორე მოწოდებაც პირველივით მძლავრი აქვს და ხელი სულაც არ უკანკალებს — განაცხადა სამპრასმა — 100 კმ/სთ სიჩქარის მეორე მოწოდება იშვიათად მინახავს. მას უეჭველად დიდი გამარჯვებები ელის.“

არცთუ დაუძლეველი მეტოქე ჰყავდა შვედ მაგნუს ნორმანსაც — ჩეხი სლავა დოსედელი, მაგრამ წაგო — 7:6 (7:4), 3:6, 3:6. პირველი სეტის გაჭირვებით მოგების შემდეგ ნორმანი მეორეშიც 3:2 დაწინაურდა, მერე კი ოთხი გეიმი ზედიზედ დათმო. დაახლოებით ასე მოხდა ბოლო პარტიაშიც და წარმატებული სტარტის შემდეგ მიმდინარე სეზონში ნორმანის ჩავარდნა აშკარაა. ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტმა და „როლან გაროსის“ ფინალისტმა, ეს უკვე მეორე ამერიკული ტურნირი დატოვა ერთობ ნაადრევად და პრესკონფერენციაზე აღიარა, ამერიკა ჯერჯერობით არ მომიხდაო. ნორმანს არ დაუკონკრეტებია, მარტინა ჰინგისის მზურვალე მიჯნურობამ თუ გამოაცალა ძალ-ღონე, მაგრამ ის კი განაცხადა, ამერიკის ღია პირველობისთვის ფორმას უეჭველად აღვიდგენო. შეიძლება დავუჯეროთ, ვარჯიშის გიჟად ცნობილ შვედს უკვე აღარც ეხსომება ისეთი დღე, როცა ოთხ საათზე ნაკლები ივარჯიშა.

მეორე წრე. ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲕᲘᲡᲔᲜᲢᲘ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — ᲐᲜᲓᲠᲔ Ა�გᲐᲡᲘ (ᲐᲨᲨ, 1) — 3:6, 6:3, 1:0 (ᲢᲠᲐᲒᲛᲐ); �პᲘᲢ ᲡᲐᲛᲞᲠᲐᲡᲘ (ᲐᲨᲨ) — ᲢᲔᲘᲚᲝᲠ ᲓᲔᲜᲢᲘ (ᲐᲨᲨ) — 7:6 (7:3), 7:6 (7:3); ᲡᲚᲐᲕᲐ ᲓᲝᲡᲔᲓᲔᲚᲘ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) — ᲛᲐ�გᲜᲣᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲜᲘ (ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ, 3) — 6:7 (4:7), 6:3, 6:3; ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲝ ᲙᲣᲔᲠᲢᲔᲜᲘ (ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ, 4) — ᲯᲐᲜᲚᲣᲙᲐ �პᲝᲪᲘ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ) — 7:5, 6:3; ᲘᲕᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, 5) — ᲙᲠᲘᲡ ᲯᲣᲓᲠᲐᲪᲘ (ᲐᲨᲨ) — 6:4, 7:6 (7:3); ᲛᲐᲠᲐᲗ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, 8) — ᲤᲠᲐᲜᲡᲘᲡᲙᲝ ᲙᲚᲐᲕᲔᲢᲐ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — 7:6 (9:7), 6:3; ᲤᲠᲐᲜᲡᲙᲝ ᲡᲐᲜᲩᲔᲖᲘ (ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐ, 13) — ᲘᲠᲘᲜᲘ ᲜᲝᲕᲐᲙᲘ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) — 6:3, 6:4; ᲢᲘᲛ ᲰᲔᲜᲜᲐᲜᲘ (ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ,15) — ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲰᲣᲤᲠᲘᲐ (ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐ) — 6:1, 6:2; ᲛᲐᲠᲙ ᲤᲘᲚᲘᲞᲣᲡᲘᲡᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ, 16) — ᲛᲐᲠᲡᲘᲚᲝ ᲠᲘᲝᲡᲘ (ᲩᲘᲚᲔ) — 6:7 (3:7), 6:4, 7:6 (7:4); ᲘᲝᲰᲐᲜ ᲑᲘᲝᲠᲙᲛᲐᲜᲘ (ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ) — ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲛᲝᲠᲘᲐ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — 4:6, 6:2, 6:1; ᲓᲠᲝᲓ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘ (ᲐᲨᲨ) — ᲡᲮᲔᲜᲒ ᲨᲐᲚᲙᲘᲜᲘ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ) — 6:4, 6:4; ᲛᲐᲢᲐ ᲕᲘᲠᲜᲘ (ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ) — ᲰᲘᲨᲐᲛ ᲐᲠᲐᲖᲘ (ᲛᲐᲠᲝᲙᲝ) — 6:3, 6:3; ᲑᲐᲠᲜᲣ ᲙᲚᲘᲯᲘᲜᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲛᲐᲠᲗᲘᲜ ᲓᲐᲛᲘ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) — 7:5, 6:3; ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲙᲣᲑᲘᲩᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ) — ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲒᲣᲓᲘᲜᲪᲘ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ) — 6:2, 5:7, 6:2

ᲛᲐᲜᲰᲔᲢᲔᲜ ᲑᲘᲩᲘ, ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐ. „ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡ ᲝᲣᲤᲔᲜ.“ ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 535 ᲐᲗᲐᲡᲘ $

კალიფორნიიდან ჯერჯერობით მოულოდნელი არაფერი გვსმენია — ფავორიტები იგებენ, სუსტები შინ მიდიან. მარტინა ჰინგისი მეორე წრეში მასპინძელ ჩანდა რუბინს შეხვდა (გუშინწინდელი „სარბიელის“ გმირზეა ლაპარაკი) და პირველი სეტი მძიმე ბრძოლაში დაუთმო. მეორე სეტის 4:3-დან ჰინგისმა კორტის სრულად გაკონტროლება შეძლო, რამაც ბოლო პარტიაში განსაკუთრებით იჩინა თავი. ტექნიკური შვეიცარიელის დარტყმები სულ უფრო მძლავრი და ზუსტი ხდებოდა, და რუბინი მათთან გამკლავებას ვერანაირად ახერხებდა. ჰინგისმა თამაში მოიგო და ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ ანგარიშიც გამოდგება: 5:7, 7:5, 6:1. ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა, სერენა უილიამსმა წინადღის ბობოქრობა წარმატებით განაგრძო და ამჯერად შორეულ ტაილანდიდან ჩასულ ტამარინ ტანასუგარნი დაამარცხა — 6:2, 6:2. მაგრამ, აი, უცნაურობა! „დღეს ჩემი დღე არ იყო — უთხრა სერენამ ჟურნალისტებს — საკუთარი თავით ძლიერ უკმაყოფილო ვარ. არ ვიცი რა მომივიდა.“

მეოთხედფინალში უილიამსი ბევრად ძლიერ ჩოგბურთელს შეხვდება.

ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა ამერიკელ თინეიჯერ ალექსანდრა სტივენსონს კარგა დიდი ჯაჯგურის შემდეგ 6:4, 7:6 (7:2) სძლია და ახლა სერენასთან უწევს თამაში. მეოთხედფინალის ცენტრალური მატჩი საძებარი აღარაა.

ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲐ ᲰᲘᲜᲒᲘᲡᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ,1) — ᲩᲐᲜᲓᲐ ᲠᲣᲑᲘᲜᲘ (ᲐᲨᲨ) — 5:7, 7:5, 6:1; ᲙᲠᲘᲩᲘᲢᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲔᲡᲘ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ, 4) — ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲡᲢᲔᲕᲔᲜᲡᲝᲜᲘ (ᲐᲨᲨ) — 6:4, 7:6 (7:2); ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (ᲐᲨᲨ, 5) — ᲢᲐᲛᲐᲠᲘᲜ ᲢᲐᲜᲐᲡᲣ�გᲐᲠᲜᲘ (ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ) — 6:2, 6:2; ᲡᲐᲜᲓᲠᲘᲜ ᲢᲘᲡᲢᲘᲣ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ, 8) — ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙ ᲕᲐᲜ ᲠᲣᲡᲢᲘ (ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) — 6:2, 3:6, 7:5; ᲘᲚᲘᲜᲐ ᲓᲘᲕᲘᲜᲔᲢᲘᲩᲘᲕᲐ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲑᲠᲐᲜᲓᲘ (ᲐᲨᲨ) — 6:4, 6:1.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

სვიდლერს დასვენება მოუხდა

პიოტრ სვიდლერი

ორი წელია, რაც რუსი პიოტრ სვიდლერი საჭადრაკო ელიტას ჩამოშორდა, დაისვენა და ვასილი ივანჩუკივით ახლა დაბრუნებისთვის ბრძოლა დაიწყო. კვირას შვეიცარიულ ბილში დასრულებულმა ტურნირმა სვიდლერის ზრახვათა სერიოზულობა დაამტკიცა, მან ტურნირი დიდი უპირატესობით მოიგო.

შემადგენლობა სუსტი არ ყოფილა. ბორის გელფანდი, ან თუნდაც ლუკ ვან ველი დავასახელოთ. ახალგაზრდობასაც მეტად ძლიერი უკრაინელი, რუსლან პონომარიოვი წარმოადგენდა და არც მასპინძელი ვადიმ მილოვი გახლავთ ხელწამოსაკრავი. მხოლოდ მეორე შვეიცარიელი, იოზეფ გალაჰერი ვერ ჩაჯდა საერთო სქემაში. ვისაც არ დაეზარა, ყველამ მოუგო, 10 შესაძლებლიდან 1,5 ქულა კი ის შედეგია, რომელიც გალაჰერს აიძულებს, მომავალ წელს ბილში უფრო ყოჩაღ მოჭადრაკეს დაუთმოს ადგილი.

სვიდლერი თავიდანვე დაწინაურდა, ერთპიროვნული ლიდერობა ბოლომდე მყარად ეპყრა, ხოლო მე-9 ტურში ვან ველის დამარცხებით საბოლოო გამარჯვებაც ნაადრევად გაინაღდა. პარტია სვიდლერის სადებიუტო შეცდომით დაიწყო. არაერთი შანსის მიუხედავად, ჰ ოლანდიელმა ის შეცდომა ვერ გამოიყენა და რიგი ტაქტიკური წაღსვლების შემდეგ, რომლებშიც ერთი-ორჯერ ბარაქიანად შეცდა, თავად მოუწია დანებებამ. ბოლო ტურში გელფანდმა და სვიდლერმა ითამაშეს და თუ აქამდე ებრაელის პარტიებში დროულად დამთავრების ტენდენცია აშკარად იგრძნობოდა და აქედან გამომდინარე, უჯიგრობაც, ახლა გელფანდს უცებ კარის მიჯახუნება მოეპრიანა და თეთრებით მეტოქეს მაგრად დასცხო. სვიდლერმა გაუძლო ესპანური პარტიის რთულ პოზიციას და 33-ე სვლაზე ნახევარი ქულა მაინც მიითვალა. უახლოეს მდევრებთან ორქულიანმა სხვაობამ ცხადყო, რომ მან მეთექვსმეტეზე უფრო მაღალი კატეგორიის ტურნირებზე უნდა იფიქროს და ასეც აპირებს. ინტერვიუში სვიდლერმა განაცხადა, რომ მისი დროებითი ჩავარდნა დაღლილობისა და ენერგიის უკმარისობის ბრალი იყო და ახლა, როცა დაისვენა, კვლავ მაღალი მიზნები ამოძრავებს. ითამაშებს წარმომადგენლობით ტურნირებში და მათ შორის ჩინეთში, სადაც მსოფლიოს თასი გათამაშდება, ინდოეთშიც, სადაც ფიდეს მსოფლიო პირველობა უნდა მოეწყოს. „ოლიმპიადაზე კი ალბათ არ წავალ — აცხადებს სვიდლერი — ჩვენს ფედერაციას ჯერ წინა ოლიმპიადის კუთვნილი ფული არ მოუცია და საერთოდაც, ოლიმპიადა ნაკლებად მაინტერესებს". ნაცნობი სიუჟეტია...

დავით გულუა

ჯონათან ედვარდსი

სიძე-სიდედრიანი

ჯონათან ედვარდსი: ჩემი სიდედრი ოჭროს სჯობს

ცნობილი ბრიტანელი სამხტომელი ჯონათან ედვარდსი შესაძლოა სიდნეის ოლიმპიადაზე ვერ წავიდეს. მას თურმე სიდედრი უკვდება. ამის თაობაზე გუშინწინ „დეილი ტელეგრაფმა" გადმოსცა. ედვარდსის მეუღლის დედა ტვინის კიბოთია დაავადებული და ექიმთა თქმით, დიდხანს ვერ გასტანს. „ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ და ვლოცულობთ — უთხრა თავისი რელიგიურობით ცნობილმა ედვარდსმა გაზეთს — მე კი არ შემიძლია სიდნეიში ვიყო მაშინ, როცა ჩემს ოჯახში ასეთი ვითარებაა". ედვარდსი მომავალ ოლიმპიადაზე ბრიტანელთა ერთ-ერთი მთავარი იმედია, მისგან მხოლოდ ოქროს ელიან.

„ლოს ანჯელეს ტაიმსის" ცნობით კი, სახელიანი ამერიკელი მორბენლის, ფლორენს გრიფიტ-ჯოინერის ოჯახმა მისურის შტატის სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომელშიც სენტ ლუისის ჰოსპიტლის ექიმებს დაუდევრობასა და უყურადღებობაში ედებათ ბრალი. სეულის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი და 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდის მფლობელი გრიფიტ-ჯოინერი, ორი წლის წინათ სწორედ სენტ ლუისის ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

შინ მყოფ მორბენალს საშინელმა ტკივილებმა წამოუარა და გონი დაკარგა, შემდეგ კი აღარც მოსულიერებულა. მსგავსი რამ მოხდა 96-ის აპრილშიც, როცა ჯოინერი სენტ ლუისში მიფრინავდა. იგი ტრაპიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს და ტესტები ჩაუტარეს. სწორედ ამ ტესტების შედეგებმა გამოიწვია ზემორე სარჩელის წარმოშობა. მომჩივანთა აზრით, ექიმებმა ვერ შეძლეს ჯოინერის ტვინში უწესრიგობის აღმოჩენა, ხოლო ამან მორბენლის ნაადრევ სიკვდილს შეუწყო ხელი (ჯოინერი 38 წლისა იყო). მათ არ შეუდარებიათ თავიანთი ტესტები ჯოინერის ადრეულ ტესტებთან და არც ავადმყოფობის ისტორიის სრულყოფილად შესწავლა უნებებიათ. საბოლოო სიტყვას სასამართლო იტყვის.

დავით გულუა

დააპატიმრეს ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის საგანგებო ოპერაციის შედეგად, ნოვოსიბირსკში დააპატიმრეს რუსეთის ბიატლონისტთა კავშირის პრეზიდენტი, ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი ალექსანდრ ტიხონოვი. პრეზიდენტი დააპატიმრეს კემეროვოს ოლქის გუბერნატორ ამან ტულეევზე თავდასხმის საქმესთან დაკავშირებით. მართალია, გუბერნატორს თავს არავინ დასხმია, მაგრამ მისივე განცხადებით, იგი საქმის კურსში იყო, ყველანაირი ინფორმაცია ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოებისგან, იცოდა მოსალოდნელი თავდასხმის თითქმის ყველა დეტალი.

ბიატლონისტთა კავშირის თანამშრომლებს ჯერჯერობით პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული, უპასუხოდ ტოვებენ ჟურნალისტთა შეკითხვებს. მიზეზი ის არის, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ხელი მოაწერინეს ინფორმაციის გაუვრცელებლობაზე.

ველომრბოლთა უმრავლესობა ეშმაკმა აცდუნა

45% — დიდი ველოსკანდალი „ტურ დე ფრანსის“ თითქმის ნახევარი დოპინგის ხელშია

„ტურ დე ფრანსის“ მრბოლებს დოპინგი ისევ გამოუყენებიათ

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა აგვისტოს დამდეგს განაცხადა, რომ „ტურ დე ფრანსის“ განმავლობაში მრბოლებისთვის ჩატარებული დოპინგ-კონტროლებიდან ერთიც არ იყო დადებითი, ანუ აკრძალული ნივთიერებები არავის გამოუყენებია, ხოლო თუ ასეთი შემთხვევა მაინც იყო, მრბოლებს ექიმთა რეცეპტი ჰქონდათო.

7 აგვისტოს კი ეს განცხადება დოპინგთან ბრძოლის საბჭომ გააქარწყლა. მისმა ინფორმაციამ ველოსპორტის სამყარო გააოგნა. 96 დოპინგ-კონტროლიდან, რომელთა დროსაც 71 მრბოლი შეამოწმეს, 45 პროცენტს (43) დადებითი შედეგი აღმოაჩნდა. შატნეი-მალაბრის ლაბორატორიამ „ტურის“ მონაწილეებს ორგანიზმში კორსიკოსტეროიდები, სალბუტამოლი და ტერბუტალინი აღმოუჩინა. დამნაშავეებს გაანაწილეს შემოდგომაზე გამოუტანენ.

„ფესტინას საქმის“ შემდეგ ჩაწყნარებულ ველოსპორტის სამყაროში ახალი ბომბი გასკდა. 45 პროცენტი პაპარა ციფრი არაა, არადა, „ტურის“ მიმდინარეობისას ყველა გაიძახოდა, სუფთა შეჯიბრია, დოპინგს არავინ იყენებსო. მაგრამ... ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა 2 აგვისტოს განცხადების შემდეგ კი აღიარა, ორი მრბოლი ვამბილეთო, მაგრამ იქვე დამატა, ისინი საერთო ჩათვლის პირველ ნახევარში არ მოიხსენიებიანო. ახლა კი ერთბაშად 43 შემთხვევა. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ 43 მრბოლს აღმოუჩინეს დოპინგის კვალი.

მოვუსმინოთ დოპინგთან ბრძოლის საბჭოს პრეზიდენტ მიშელ ბუაიონს: „თითოეულ ეტაპზე ოთხ მრბოლს ვამოწმებდით — საერთო ჩათვლის ლიდერს, ეტაპის გამარჯვებულს და ორ სპორტსმენს, რომელთა ვინაობასაც კენჭისყრა ადგენდა. კიდევ ორი მრბოლი თადარიგში გვყავდა, იმ შემთხვევისთვის, თუ ყვითელმაისურიანი ან კენჭისყრაში ამოსული მოიგებდა ეტაპს, ანდა კენჭისყრით შემოწმება საერთო ჩათვლის ლიდერს მოუწევდა. მე-16 და მე-20 ეტაპებზე დამატებით 12 კაცი გავაკონტროლეთ, ჯამში — 96. აქედან ექვსი დოპინგ-ტესტი სხვადასხვა მიზეზების გამო გაგვიცუდდა. მათ უარყოფითად ვთვლით“.

როგორც ბუაიონი ამბობს, მავან მრბოლებს, მაგალითად, ლენს არმსტრონგს ან სამი ეტაპის მომგებ ერიკ დეკერს, რამდენჯერმე მოუხდათ ანალიზების ჩაბარება და თუ ისინი აკრძალულ პრეპარატებს იღებდნენ, მაშინ ერთი კაცი რამდენჯერმე გამოუჭერიათ. აღნიშნული 43 შემთხვევიდან კორსიკოსტეროიდები (დაღლისა და ტკივილის მომხსნელი პრეპარატი) 28-ჯერ აღმოაჩინეს, სალბუტამოლი და ტერბუტალინი (სუნთქვის გასაუმჯობესებელი ანაბოლური ნივთიერებები) — 10-ჯერ, 5-ჯერ კი კორსიკოსტეროიდები და სალბუტამოლი ერთად მიუღია მავანს.

საინტერესოა, რომ ბრალდებულები არა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის, არამედ დოპინგთან ბრძოლის საბჭოს წინაშე წარსდგებიან, რომელიც ფრანგულია და, როგორც ჩანს, ძალიან მკაცრად განსჯის მათ. „კორსიკოსტეროიდებს შარშანდელ „ტურზე“ არ ვეძებდით. ჩვენ და საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაცია ვართ ის ინსტანციები, რომლებიც მრბოლებს დოპინგის გამოყენებაში დაადანაშაულებს და მათ სწორედ ჩვენ უნდა გაგვცენ პასუხი. არავის დაავიწყდეს, რომ „ტურ დე ფრანსი“ საფრანგეთის ტერიტორიაზე ეწყობა და მისი მონაწილენი საფრანგეთის კანონებს უნდა დაემორჩილონ. ყველა შემთხვევას კარგად გამოვიკვლევთ, ვერავინ დაგვარწმუნებს თავის უბრალოებაში მხოლოდ ექიმის რეცეპტით. მაგალითად, თუ ვინმეს სალბუტამოლი აღმოვუჩინეთ და ის ამბობს, რომ ასთმა აქვს, უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ამ სენით უკვე კარგა ხანია, დაავადებულია, წლების განმავლობაში მკურნალობს და მისი მორჩენა მხოლოდ „ტურის“ დროს არ გადაუწყვეტია. ჩვენი სანქციები შეზღუდული არაა, შეიძლება ზოგს მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით რამდენიმეკვირიანი იძულებითი დასვენება გამოვუწეროთ, ზოგს კი სამუდამო დისკვალიფიკაცია მივცეთ. მრბოლებმა უნდა იცოდნენ, რომ სიცრუის დროს წავიდა!“ — განაცხადა დოპინგთან ბრძოლის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ფილიპ რუ-კომოლიმ.

ველოსპორტის მაღალჩინოსანთა უმეტესობა ჯერჯერობით დუმს, ანაც მეტად ფრთხილ განცხადებებს აკეთებს, როგორც, მაგალითად, საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი დანიელ ბაალი: „მრბოლთა უმრავლესობას ექიმთა რეცეპტი ჰქონდა. რა თქმა უნდა, ხანდახან მათ ბოროტად იყენებენ ხოლმე, მაგრამ როგორ უნდა მიხვდე ამას?“

მაშ ასე: 43 დადებითი დოპინგ-კონტროლი და ამით ყველაფერი სულაც არ დამთავრებულა, რადგან ეპო-ს აღმოჩენა შარდში მხოლოდ შემოდგომისთვის, ოლიმპიადისთვის იქნება შესაძლებელი, შატნეი-მალაბრის ლაბორატორიაში ჯერ კიდევ ბევრი მრბოლის გაყინული შარდი ელის გამოკვლევას. ამ ანალიზებს შემოდგომაზე გააკეთებენ და ვაი, მხილებულთა ბრალი.

გაიოზ თალაკვაძე

ერთი უტევს, მეორე იგებს

„ბურგოსის ტურის“ მესამე ეტაპი იტალიელი ლეონარდო პიეპოლის გამარჯვებით დასრულდა. მეორე ადგილი კი ზედიზედ მეორედ დაიკავა ფრანგმა პასკალ ერვემ. „ბანესტოს“ მრბოლმა ორმაგი წარმატება იზეიმა, რადგან ეტაპის მოგების გარდა იგი საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა და ესპანელ ალბერტო მარტინესს ლიდერის იისფერი მაისურა ჩამოართვა.

ლაგუნას დე ნეილას მთაზე პიეპოლის გამარჯვების საუკეთესო შანსი ჰქონდა, რადგან ადრე ორჯერ ემარჯვა ამ აღმართზე. 164 კილომეტრის გავლის შემდეგ მრბოლებს უმაღლესი კატეგორიის სიძნელე ელოდათ და სწორედ ამის ბოლოს გაექცა იტალიელი ერვესა და ოსკარ სევილიას. ეს სამეული პელოტონს ფინიშამდე ოთხი კილომეტრით ადრე დაშორდა ერვეს მიერ წამოწყებული შეტევის შემდეგ.

პელოტონის წინ კი ყველაზე დიდი ხანი ესპანელმა გარსია აკოსტამ გაატარა, რომლის დაწევაც დანარჩენებმა მხოლოდ ბოლო მთის მისადგომებთან მოახერხეს „პოსტალის“ წევრების აქტიურობის წყალობით. მერე მანუელ ბელტრანმა და ერვემაც შეუტიეს და...

ლეონარდო პიეპოლი

ეტაპის ბედი მთის ყველაზე რთულ მონაკვეთში გადაწყდა, როცა აღმართის დახრილობამ 11,9 პროცენტს მიაღწია.

პიეპოლი მარტოობაში ფინიშამდე 1,5 კილომეტრით ადრე აღმოჩნდა და ფინიშის ხაზი ფავორიტებზე კარგა ხნით ადრე გადაკვეთა. ლორან დიუფომ, ივან გოტიმ და ფერნანდო ესკარტინმა მასთან წუთი და 16 წამი წააგეს, ლენს არმსტრონგმა კი ხუთ წუთზე მეტი. ამ გამარჯვებით იტალიელმა მრბოლმა ფაქტობრივად ტურნირის მოგებაც გაინაღდა.

გაგი გურული

მესამე ეტაპი

პრადოლუენგო — ლაგუნას დე ნეილა, 164 კმ

1. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, ბანესტო) — 4სთ 07წთ 51 წმ
2. პასკალ ერვე (საფრანგეთი, პოლტი) — +23წმ
3. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) — +23
4. რაიმონდას რუმსასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო) — +44
5. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, მარეი) — +44

საერთო ჩათვლა

1. ლეონარდო პიეპოლი — 8სთ 30წთ 37წმ
2. ოსკარ სევილია — +25
3. პასკალ ერვე — +34
4. რაიმონდას რუმსასი — +35
5. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +59

ვინ დალევს ნი ბოთლ შამპანურს?

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მასპინძელთა სპორტსმენებს შინაური კედლების ეიმედებათ და დიდ გულზეც არიან. ოზებს სჯერათ, რომ ისინი სიდნეიში ამ თამაშების ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწევენ.

1788 წელს, როდესაც ავსტრალიაში პირველი ევროპელები დასახლდნენ, ბებერ კონტინენტზე სპორტი ფეხს იკიდებდა. უკიდურეს სამხრეთში გადასახლებულებს გათვითცნობიერებული ჰქონდათ, რომ სპორტული ღონისძიებები საჭირო იყო არამარტო პირადი გართობისას, არამედ საზოგადოებისთვისაც. გარდა ამისა, რთულ პირობებში ახალი მიწების ათვისებისას სპორტს თვითგადარჩენის ერთ-ერთი მთავარი მისია დაეკისრა.

ერთი სიტყვით, ავსტრალიელებმა სპორტი უზომოდ შეიყვარეს და ეროვნულ საქმედაც გაიხადეს. ამ მხრივ ყველაზე დიდი სტიმულატორი გამოდგა 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშები, რომელმაც კარი გაუღო ავსტრალიური სპორტის „ოქროს საუკუნეს.“

მოგეხსენებათ, მწვანე კონტინენტი ერთი უზარმაზარი კონტინენტია. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ იქ სპორტის საწყლოსნო სახეობები ძალზე განვითარდა. ამის დასტურად არაერთი მაგალითი გამოდგება. ავსტრალიელები ყველაზე მეტ წარმატებას ხომ ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში, ნიჩბოსნობაში, სერფინგში და სხვა მისნაირ სახეობებში აღწევენ. გავიხსენოთ მსოფლიოში საუკეთესოდ მოცურავე, თუნდაც დღევანდელი მოცურავეები: იან ტორფი, გრანტ ჰაკეტი, მაიკლ კლიმი, სუზან ონილი. 17 წლის იან ტორფი მსოფლიოს რეკორდსმენია 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მას სამშობლოში ზედმეტსახელით — „ტორპედოთი“ იცნობენ. იგი თვისტომებს პირდება, რომ ოლიმპიადის მთავარი სენსაცია გახდება. ამაში ეჭვიც არავის ეპარება. ამიტომაა, რომ ამ ვუნდერკინდისგან სამი-ოთხი ოქროს მედლის მოპოვებას მოითხოვენ, რაც მას ხელეწიფება კიდეც.

ავსტრალიელ მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელი დონ ტელბოტი აცხადებს, მთლიანობაში 20 მედლის მოპოვება გვაქვს მიზნადო, რითაც ამერიკელთა ჰეგემონიის დამხობას აპირებენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საერთო ჯამში ავსტრალიელები 60 მედალს უმიზნებენ და აქედან მესამედი მარტო მოცურავეებზე უნდა მოვიდეს, ეს კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს, რომ მწვანე კონტინენტზე წყლის სახეობები უმთავრესია.

ავსტრალიელები სპორტის სხვა სახეობებშიც არ არიან ჯაბანნი. მარტო რაგბის ხსენება რად ღირს.

ავსტალიელებს მსოფლიო ღონის მოღწევები აქვთ კრივშიც, ბეისბოლშიც, გოლფშიც, კრიკეტშიც, ჩოგბურთშიც, მძლეოსნობაშიც. ამ უკანასკნელში ყველაზე მეტად აბორიგენი სპრინტერის, კეტი ფრიმენის სახელი კაშკაშებს. ოზებს იგი „ოქროს“ მთავარ პრეტენდენტად მიაჩნიათ და ამიტომაც ყველა სულმოუთქმელად ელის, თუ როდის მოიპოვებს ოლიმპიურ ჩემპიონობას.

მართლაც, სპორტში მშობლიური კედლები რომ დიდ როლს თამაშობს, ეს არაერთხელ დადასტურებულა. წლეულს, ოლიმპიადების ისტორიაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობას ავსტრალია მოიპოვებს.

1984 წელს ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე სამხრეთ კორეელებს არცერთი ოლიმპიური მედალი არ მოუპოვებიათ, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, როცა სეულმა უმასპინძლა ოლიმპიადას, მათ 12 ოქრო დაიმსახურეს. იმავე ოლიმპიადაზე ესპანელები მხოლოდ ერთ ოქროს დასჯერდნენ. 1992 წელს ბარსელონაში კი 13 პირველი ადგილი დაისაკუთრეს, ოთხი წლის შემდეგ ატლანტის ოლიმპიადაზე ეს მაჩვენებელი 5-მდე შემცირდა.

საინტერესოა სიდნეის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ჯონ კოუტსის და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრის, სიდნეის ოლიმპიადაზე პასუხიმგებელი პირის ჯაკ როგის ნიძლავი. პირველმა განაცხადა, რომ ავსტრალიის ნაკრები 60 ოლიმპიური მედლის მოპოვებით მსოფლიოს რეკორდს დაამყარებს და მათ შორის 20 „ოქროს“ ჯილდოც იქნებაო.

როგი კოუტსის ამ მოსაზრებას ეჭვის თვალით უყურებს და აცხადებს, რომ ზემოხსენებულ 60 მედლის მოპოვების შემოხვევაში იგი მზადაა ყოველ მედალზე თითო ბოთლი შამპანური დადგას, ხოლო თუ ეს მაჩვენებელი მასზე ნაკლები აღმოჩნდება, მაშინ პირიქით, როგი მიიღებს ამ მშვენიერ სასმელს.

ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ უდავოა, შამპანური მაინც იბუთქებს.

გიგა გურასაშვილი

იან ტორფი: ავსტრალიელთა იმედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვედეთი

XV ტური
ჰაკენი 0:1 იორეშრო

REUTERS ლა ვალეტტადან

სამხრეთი

მალტაში ამხანაგურად სათამაშოდ ჩასულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გვარიან სიცხეში 5:1 მოუგო იქაურ ჩემპიონ „ბირკირკარას“. სტუმართაგან 22 კაცმა ითამაშა, 11-11-მა ცალ-ცალი ტაიმი. პირველი ტაიმის მომთავებელ დევიდ ბექემს, რონი იონსენს, ჰენინგ ბერგსა და ფაბიენ ბარტეზს კი ისე დასცხათ სათადარიგოთა სკამზე, რომ მზეს სველი პირსახოცებით შეებრძოლენ.

ოქრო და ბავშვები



REUTERS ფოტოხიდან

ციურიხი მძლეოსანთა „ოქროს ლიგის“ მოლოდინშია. საპრიზო ფონდი 50 კილოგრამი ოქროა. გამუდმებით ოქროზე ფიქრი ცოტა არ იყოს და ხასიათს უფუჭებს ხალხს. მაგრამ ლიგელებს წესად აქვთ, რომ ვარჯიშობანი ბავშვებთან ერთად გასწიონ, მძიმე შეჯიბრთა წინ გუნება გაიხალისონ და ნორჩები გაართონ. ამერიკელი მძლეოსანი ჯონ დრამონდიც ბავშვებთან ვარჯიშის დროს ციგნობს, ეს არის და დამახრჩვეთო.

სამგზალი



გერმანიის ოლიმპიური ნაკრები ჩაცმულ-დახურული და ბარგშეკრულია. სიდნეიში წასასვლელად ყველაფერი მზადაა — სპორტსმენები სასიდნეო სამოსს ირგებენ და ერთვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ მიძღვნილ სასიდნეო ჩანთებს ათვალიერებენ. სიგრძეზე მხტომელ ანსენ ტიდტკეს ძალიან მოსწონს ოფიციალური ფორმის მზის ქუდი, თუმცა, ჩანთის სიღრმეში სხვა საჩუქარიც ელოდება, შორსმჭვრეტელმა ხელმძღვანელებმა თავიანთ სპორტსმენებს სპორტული სიუჟეტებით გაფორმებული ორ-ორი პრეზერვატივიც უსაგზლეს: ეგრეთ, საჭირო — „ამით ოქროსკენ“ — აწერია ამ საჭირო ნივთს.

გოლფის ჩანთა

საგოლფე ჩანთა კაი მძიმე რამეა. ჯერ მარტო რამდენი ყვანჯი დევს შიგ. ამიტომაც, ყოველ მეგოლფეს საჭურველთმტვირთველი ჰყავს, რომელიც ჩანთააკიდებული დაჰყვება უკან. თუ ვარჯიშობაა, ჩანთა შორიახლო უნდა იდგეს, რადგან მეგოლფემ შესაბამისი მოსაქნევი აირჩიოს. ხვალ კანადურ კვებეკში, აილმერში დუორიეს პროფესიული ჩემპიონატი იწყება. კანადელი მეგოლფე ქალი ლორი კეინი თვალისზომას ავარჯიშებს, გვერდით კი ჩანთა აქვს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პატარა ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge